# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 ივლისი, 2011 წელი.

№138 (6749)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


## სიკვდილი – იაფად და ბითუმად



②



④

## ვილაც ვერონიკა ქობალიამ სატელევიზიო ანძის ბედი არ უნდა გადაწყვიტოს!

## ვის აშაყირებს პრეზიდენტი?

⑤

## „ბოტანიკური ბაღის განადგურება საუკუნის დანაშაული იქნება“



③

## პროფესიონალიზმი თუ პირიქით?..

⑤



## „საქართველოს უძველესი კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი“

⑥

## სარაევოში ქართველებმაც გაისროლეს



⑩

განცხადება

## ჩვენი ეკლესიის პოზიციების დაცვა, ამავდროულად, ქვეყნის ინტერესების დაცვაა

ბოლო დროს საზოგადოებაში ვრცელდება ხმები, თითქოს რელიგიის შესახებ ახლადმიღებულ კანონთან დაკავშირებით სინოდის წევრთა აზრი გაიყო და ამიტომ ეკლესიამ უკან დაიხია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით წმინდა სინოდმა ერთხმად დააფიქსირა თავისი უარყოფითი პოზიცია; ამასთან, ამ ეტაპზე აირჩია ის გზა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან დამცავი მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს და თავისი გადაწყვეტილებები სინოდის განჩინებაში დააფიქსირა; ესეც მღვდელმთავართა საერთო შეთანხმების შედეგი იყო. კენჭისყრის შესახებ გავრცელებული ხმები კი სხვა თემას უკავშირდება.



ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არსებულ ვითარებაში ჩვენი მორწმუნეების, ჩვენი ერის სამართლიანი უფლებები დაიცვას.

ჯერი ახლა ხელისუფლებაზეა.

წმინდა სინოდის მიმართვიდან გამომდინარე, ველოდებით ქმედით დადებით ნაბიჯებს. ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველი მოსამზადებელი შეხვედრა უკვე შედგა. ვიმედოვნებთ, მომდევნო შეხვედრებიც მალე მოხდება და შედეგიანი იქნება. ჩვენი მხრივ, საზოგადოებას დროულად ჩავაყენებთ საქმის კურსში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;

ასე რომ, ჩვენი ეკლესიის პოზიციების დაცვა გრძელდება და ამას ყოველთვის გავაკეთებთ; ეს ამავე დროს არის ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა, რადგან მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა და შეინარჩუნა ერთიანი ქართული ქრისტიანული სახელმწიფო, რაც გულისხმობს როგორც უნიკალური ქართული კულტურის და ქართველი ადამიანის ცხოვრების და აზროვნების წესის განსაზღვრას, ისე საქართველოში მცხოვრები სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლებისადმი ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

დიახ, ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა არის სხვა რელიგიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვაც, რასაც ყოველთვის მხარს ვუჭერდით და პოზიციას ამის შესახებ მუდამ ვაფიქსირებდით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ქვეყნის უდიდესი უმრავლესობის, – მართლმადიდებელი ქრისტიანების, – სამართლიანი მოთხოვნების დისკრიმინაციის ხარჯზე.

საქართველოს საპატრიარქო

## საქართველოსა და რუსეთის პატრიარქები აფხაზეთში ჩასვლის საკითხსაც განიხილავენ

საქართველოს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელის დეკანოზ დავით შარაშენიძის განცხადებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კიევში დაგეგმილ შეხვედრაზე, ილია მეორის აფხაზეთში ჩასვლის საკითხსაც განიხილივენ. როგორც დეკანოზმა შარაშენიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრაზე განხილული იქნება აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო პროცესები და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის აღდგენისა და რელიგიური მისიის განხორციელება.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უკრაინის დედაქალაქ კიევში გუშინ გაემგზავრა.

**პროტესტი**

# „თუ ერთად ვიქნებით, ვერაფერსაც ვერ გვიზამენ“

## რუსთაველის ძეგლთან „დისიდენტური კერა“ შეიქმნა

**ამიერიდან ყოველ კვირა დღეს, რუსთაველის ძეგლთან 19 საათზე ის ადამიანები შეიკრიბებიან, რომლებიც ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობასთან შეგუებას არ აპირებენ. ამის შესახებ რუსთაველის ძეგლთან, „წინააღმდეგობის მოძრაობისა“ და „სამოქალაქო დარბაზის“ ერთობლივ აქციაზე გახდა ცნობილი, რომელსაც 700-მდე ადამიანი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ უფლებადამცველები, ადვოკატები, ყოფილი პოლიტპატიმრები, მსახიობები, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები: ქეთი ბექაური, სოსო ჯაჭვლიანი, ავთო იმნაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ნანა კაკაბაძე, ზაზა ხატიაშვილი, დიმა ჯაიანი, ია მეტრეველი, ზაზა დავითაია...**

**„დღეიდან აქ, ამ ადგილას იქნება დისიდენტური კერა. ყოველ კვირა დღეს, შვიდ საათზე ჩვენ შევიკრიბებით. არა აქვს მნიშვნელობა, 20 ვიქნებით, ორი ათასი თუ 20 ათასი. ეს ხელისუფლება უნდა შევაჩვიოთ, რომ გამოვალთ და უკანონობას გავაპროტესტებთ. რამდენიმე დღის წინათ მიხეილ სააკაშვილმა ბათუმში ყოფნისას განაცხადა, ზოგიერთები ევროპაში ჩადიან და ევროსტრუქტურებს ცრუ ინფორმაციებს აწვდიანო. მან ეს პირდაპირ ჩვენი მისამართით თქვა. მოგეხსენებათ, ჩვენ ხშირი ურთიერთობა გვაქვს ევროსტრუქტურებთან და მათ პერმანენტულად ვაწვდით ინფორმაციებს იმ მდგომარეობაზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია შექმნილი. აქედან ვეუბნები სააკაშვილს — ევროპაში ჩავალთ კი არა, ბრიუსელში ოფისებს გავხსნით!“ — განაცხადა მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა, რომელიც ამავდროულად, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ მედია-ომბუდსმენია.**

მისივე თქმით, ბელგიაში სააკაშვილის პიარზე ოთხი კომპანია მუშაობს, რომელთა ანგარიშებზე საქართველოს ბიუჯეტიდან მილიონებს რიცხავენ — „მაგალითად, **გაზეთის ერთ გვერდზე საქართველოზე სტატია რომ გამოქვეყნდეს, ამისთვის ჩვენი ჯიბიდან, ანუ საქართველოს ბიუჯეტიდან 50 000 ევრო ირიცხება“.**

„სამოქალაქო დარბაზი“, მისი ლიდერის, რეჟისორ გიორგი შენგელაიას განმარტებით, 2004 წელს იმისთვის შეიქმნა, რომ ხელისუფლების სათავეში მოსულ ახალგაზრდებს დახმარებოდა, მაგრამ წლების გასვლასთან და ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებთან ერთად, ამ ორგანიზაციამ ხელისუფლების დახმარების მცდელობა უაზრობად ჩათვალა და ახლა იმ ორგანიზაციების რიცხვშია, რომლებიც თვლიან, რომ მმართველი ძალა ქვეყანაში ტერორს და ძალადობას ახორციელებს...

რუსთაველის ძეგლთან აქცია 19 საათზე იყო დანიშნული. ხალხმა შეკრება დაახლოებით ნახევარი საათით ადრე დაიწყო. სახელდახელო ტრიბუნა ძეგლის გვერდზე (პირით რუსთაველის გამზირისკენ) გაკეთდა, იქვე დაახლოებით ათი სკამი იმ ასაკოვანი ადამიანებისთვის იდო, ვისაც პაპანაქება სიცხეში ფეხზე დგომა უჭირდა. სკამები სწრაფად შეივსო. მიტინგის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე, იქ მისულ ადამიანებს სპეციალური მიმართვის ტექსტი დაურიგეს, რომელზეც ხალხმა ხელმოწერები თავისი ინიციატივით დააფიქსირა.

მიმართვის ტექსტი, რომელიც „წინააღმდეგობის მოძრაობისა“ და „სამოქალაქო დარბაზის“ მიერაა შემუშავებული და რუსთაველის ძეგლთან, 24 ივლისს მოწყობილი აქციის მონაწილეების მიერაა მხარდაჭერილი, ასეთი გახლავთ:

**„მივმართავთ მსოფლიო თანამეგობრობას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსს, მსოფლიოს უფლებადაცვით ორგანიზაციებს, ჟურნალისტთა გაერთიანებებს, გაეროს ადამიანის უფლებათა მთავარ კომისარს, ევროპარლამენტის ადამიანის უფლებათა მთავარ კომისარს, კეთილი ნების ადამიანებს!**

**26 მაისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა არნახული მასშტაბები მიიღო. აბსურდული და დაუსაბუთებელი ბრალდებებით ჩვენს თანამემამულეებს თითქმის ყოველდღიურად აკავებენ. განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მოქალაქეების გარდა, პოლიტიკური პოლიცია ცდილობს მედიის დატერორებას, რასაც ნათლად ცხადყოფს ე.წ. „ფოტორეპორტიორების საქმე“. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებზე და უფლებადამცველებზე ხორციელდება თვალთვალი, რაც გვაფიქრებინებს, რომ უახლოეს ხანებში ხელისუფლებას დაგეგმილი აქვს ანგარიშსწორება როგორც უფლებადამცველებზე, ისე სხვადასხვა სფეროებში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებზე, რომლებსაც უშუალო კომუნიკაცია აქვთ საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ევროსტრუქტურებთან.**

**საქართველოში მართლმსაჯულება გადაქცეულია პოლიტიკური ანგარიშსწორების ინსტრუმენტად. შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, ჯანდაცვის და სასჯელაღსრულების სამინისტროები, სახელმწიფო ექსპერტიზის ბიურო ხელისუფლების პოლიტიკური ნების აღსასრულებლად ერთპიროვნული მოქმედებს, როგორც დანაშაულებრივი სინდიკატი.**

**ინსტიტუციონალური დევნის შედეგად საქართველოში ადვოკატირება შეუძლებელი გახდა. ხელისუფლება იყენებს ტერორისტული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელ ყველა ინსტრუმენტს. საქართველოში ჩამოყალიბდა რეჟიმი, რომლის მოქმედება სრულად შეესაბამება ჟენევის კონფერენციის 1987 წლის დეკლარაციის განსაზღვრებას, სახელმწიფო ტერორიზმის შესახებ, სადაც ასეთად მიიჩნევა შემდეგი: „პოლიციური სახელმწიფოს პრაქტიკა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ შიშის დანერგვის მიზნით, თვალთვალით, შეკრებათა დაშლა, მედიის კონტროლი, ცემა, ტანჯვა, არასამართლებრივი და მასობრივი დაპატიმრებები, ფალსიფიცირებული ბრალდებები და ხმების გავრცელება, საჩვენებელი სასამართლოები და მკვლელობები“.**

**ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვაცხადებთ: რეჟიმთან ბრძოლის შიდა (ქართული) რესურსი სრულად ამოიწურა. ყოველი ჩვენი მცდელობა, წინ აღვუდგეთ სახელისუფლებო ტერორს, რეჟიმის მხრიდან ძალადობას და აგრესიას კიდევ უფრო ამძაფრებს. გთხოვთ, დახმარებას! გთხოვთ, განსაკუთრებული ყურადღებით დააკვირდეთ საქართველოში მიმდინარე უმძიმეს პროცესებს! გთხოვთ, განახორციელოთ მკაცრი მონიტორინგი ადამიანის უფლებების სფეროში! გთხოვთ, მაქსიმალური სიზუსტით ასახოთ თქვენს დასკვნებში საქართველოში არსებული მდგომარეობა და სასწრაფოდ მისცეთ საქართველოს ხელისუფლებას რეკომენდაცია, შეაჩეროს ტერორი და ძალადობა უდანაშაულო ადამიანების წინააღმდეგ!“**



მსახიობ დიმა ჯაიანის თქმით, **„თუ ვიქნებით ერთად, ვერაფერსაც ვერ გვიზამენ“.** „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერის სოსო მანჯავიძის აზრით, პროტესტი აქ აუცილებლად უნდა გაგრძელდეს, რადგან ამის გარეშე დასავლეთში, ევროსტრუქტურებთან აქტიურობას აზრი ეკარგება, — **„ეს ადგილი კერად უნდა გადავაქციოთ და საქართველოს გათავისუფლების პროცესი დავიწყოთ“.**

როგორც აქციის ორგანიზატორებმა განმარტეს, სპეციალური მიმართვა დღესვე გადაეგზავნებათ „წინააღმდეგობის მოძრაობის“ წარმომადგენლებს ბელგიასა და ბრიუსელში, რომლებიც მიმართვას ევროსტრუქტურებში წარადგენენ.

იხ. 5 გვ.

**ბრიფინგი**

# სიკვდილი – იაფად და ბითუმად

## რატომ იყიდება ვადაგასული სააღდგომო პასკა და საახალწლო გოზინაყი... ზაფხულში?

**ჯერ იმაზე გვიწევს თავის მტვრევა, სად და როგორ ვიშოვნოთ ჩვენი შვილებისა თუ შვილიშვილებისთვის ესოდენ საყვარელი ტკბილეულისა და სასუსნავის საყიდელი თანხა, მაგრამ კიდევ უფრო დიდი თავისტკივილია — იყოს ის სასარგებლო და ვარგისიანი. სურსათის ხარისხი, პროდუქციის უვნებლობა, წონის სიზუსტე — ყველა სეზონზე ერთნაირად მნიშვნელოვანია, მაგრამ ზაფხული ამ მხრივ მაინც განსაკუთრებით გამორჩეულია. მცხუნვარე მზის ქვეშ დადებულ ნებისმიერ პროდუქტს ჩვეულებრივ შეხვდებით ჩვენს ბაზრობებზე, ამის გარეშე წარმოუდგენელიც კია, ხოლო ის კოპწია მარკეტები თუ სუპერმარკეტები, სწორედ ასეთი საბითუმო ბაზრობებიდან იძენენ საქონელს, მაგრამ სულაც არ აქცევენ ყურადღებას ვადას, გამოშვების თარიღსა თუ სხვა მნიშვნელოვან „ატრიბუტს“. შესაბამისად, მომხმარებელმა არც კი იცის, რას მიირთმევს, რამდენად სასარგებლოა ის ჯანმრთელობისთვის. სურსათის უვნებლობისა და ხარისხის კონტროლის ორგანოს ოფიციალურად ამოქმედებას საშველი არ დაადგა, მისთვის უფლებამოვალეობის მინიჭებისთვის სახელმწიფო არ ზრუნავს. რეგულაციები თითქოს 2012 წლიდან უნდა ამოქმედდეს, მაგრამ აგერ უკვე წლებია ღვთის ნებაზე მიშვებულებს გვიწევს კვება.**

გუშინ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციამ ბრიფინგი გამართა და იმ საგანგაშო ვითარებაზე ისაუბრა, რაც თბილისის დიდ ბაზრობებზე სუფევს. ორგანიზაციის აღმასრულებელმა დირექტორმა **ამირან შენგელიამ** თვალსაჩინოებისთვის საბავშვო პროდუქტები წარმოადგინა: ვაფლი, რომელსაც ვადა ჯერ კიდევ 2010 წელს აქვს გასული, მაგრამ ბაზრობაზე გუშინწინ შეიძინა, ყველა პატარასთვის საყვარელი „თოი-ბოქსი“, რომელსაც გარეთა ყუთზე აწერია, რომ 2013 წლამდე აქვს ვადა, მაგრამ შიგა შეფუთვაში სალეჭ რეზინს 2010 წელი აწერია, ანუ უკვე ვადაგასულია, უვარგისი მაიონეზი და სხვა...

**„მთელი ორი თვის განმავლობაში ვატარებდით რეიდებს სხვადასხვა დიდ ბაზრობებზე: გლდანში, ნავთლუღში, ვარკეთილში, დეზერტირების ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე: კარაქი, მარგარინი, შედედებული რძე, მაიონეზები, ლუდი, ლიმონათი, საღეჭი რეზინი, შოკოლადი, თაფლი — ყველა ეს ჩამონათვალი სიცოცხლისთვის საშიშია, რადგან უმეტესად ვადაგასულია, ან გაფუჭებული. მაგალითად, მაიონეზს შენახვის ვადა სამი თვე აწერია, მართალია, ეს ვადა გასული არ არის, მაგრამ დაცული არ არის შენახვის პირობები, რადგან მას ამისთვის 20 გრადუსზე ნაკლებ ტემპერატურაზე სჭირდება შენახვა და არა მზეზე, 30 გრადუსზე. იგივე ხდება ძეხვთან დაკავშირებით, ვთქვათ არ არის ის ვადაგასული, მაგრამ გაფუჭებულია, რადგან არ ინახება მაცივარში. კარაქზე და მარგარინზე ლაპარაკიც ზედმეტია“,** — აღნიშნა ამირან შენგელიამ.

არანაკლები პრობლემაა წონის სიზუსტე. როგორც შემოწმებისას აღმოჩნდა, ის ელექტრონული სასწორებიც კი „დაყენებულია“ და 250-300 გრამს იპარავს.

თითქმის ყველა ბაზრობაზე ანტისანიტარიაა. ნავთლუღის ბაზარში წყალი მხოლოდ დილით მოდის, მერე წყდება. არ კეთდება დეზინფექცია და მწერებითა და მღრღნელებით სავსეა ბაზარი. ერთ-ერთ მოვაჭერეს უთქვამს, სასწორის რეზინები თაგვმა შემიჭამაო. ამიტომ გამოსავალიც ნახეს: თურმე, ღამით კატებს უსევენ მღრღნელებს და ასე ასუფთავებენ ტერიტორიას.



**„განსაკუთრებით შევშფოთდით, როცა დეზერტირების ბაზარში „ტკბილი ქვეყნის“ საფირმო მაღაზიაში გადავაწყდით სააღდგომო პასკას და საახალწლო გოზინაყს,** — განაცხადა ამირან შენგელიამ, — **როგორ შეიძლება ეს პროდუქტები ზაფხულში ვარგისი იყოს! ეს იმის ბრალია, რომ მწარმოებელი არ არის დაინტერესებული, ბოლომდე მიადევნოს თვალი თავის გამოშვებულ პროდუქტს, ისინი მის შემდგომ ბედზე პასუხისმგებელნი არ არიან“.**

როგორ შეიძლება პრობლემის მოგვარება? ალბათ, უპირველესად, მომხმარებელი უნდა გაფრთხილდეს და ყურადღებით შეიძინოს საქონელი, თუმცა რეგულირების სამსახურის რაღაც ფორმით არსებობაც აუცილებელია. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია მიმართავს მერიას, რათა პასუხისმგებლობა ბაზრობების ხელმძღვანელობას დააკისროს. **„ისინი დღეს მხოლოდ ადგილის გაქირავების ან იჯარით გაცემის საკითხებს განაგებენ, მაგრამ არაფერი დაუშავდებათ, თუკი დაიქირავებენ ვეტექიმს, ხარისხის კონტროლის შემმოწმებელს (ზედაპირულად მაინც), სასწორის სიზუსტის მაკონტროლებელს. ეს ცოტათი განმუხტავდა ვითარებას და ასე ნებაზე არ იქნებოდა მიშვებული“,** — აცხადებს ამირან შენგელია. ის ასევე აპირებს მიმართოს შს სამინისტროს, რომ უბნის ინსპექტორებმა მიხედონ ამ საკითხს და თუკი მომხმარებელი დარღვევას გამოავლენს და პატრულს დაუკავშირდება, მსვლელობაც მიეცეს საქმეს. რადგან ყოველი შემთხვევისას, როცა გამყიდველს ეუბნებიან, რომ უვარგისია ესა თუ ის პროდუქტი, ის იმწუთში თითქოს დახლქვეშ დებს საქონელს, მაგრამ შემდეგ კვლავ დახლზე აბრუნებს და გულუბრყვილო თუ უინტერესო მყიდველზე თავისუფლად ყიდის.

**არ ვიცი, პოლიცია როგორ შეძლებს ამის მოგვარებას, მაგრამ მყიდველებს მეტი ყურადღება ნამდვილად გვმართებს. დავაკვირდეთ წონასაც, ხარისხსაც, ვარგისიანობასაც, თუმცა აბსოლუტურად დაზღვეულები ამ შემთხვევაშიც კი არ ვართ. თუ არადა, ხელთ შეგვრჩება ტოქსიკური ნივთიერებები — საკვები პროდუქტების ნაცვლად, ხოლო იაფი სიკვდილი — ბითუმად, შეღავათიან ფასებში აღებული საქონლის ნაცვლად.**

თეა მოსია

ბუნდოვანი და გამოუძიებელი საქმე

# საპროცესო გარიგების სტატისტიკა

**„ადამიანურად სულისშემძვრელია ჩემთვის, როდესაც ვუყურებ სიმართლისათვის მებრძოლ ჟურნალისტს გიორგი აბდალაძეს, რომელიც მზად იყო, თუნდაც სიცოცხლის ფასად საკუთარი და პროფესიის ღირსება დაეცვა და რამდენიმე დღეში, როგორ სცადა სახელმწიფო მანქანამ კრიმინალური მეთოდებით მორალურად გაეტეხა იგი. მე თუ არ ვილაპარაკებ ამ უკანონობაზე, ამით მოძალადე რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედების თანამონაწილე ვხდები. იმავე როლში აღმოჩნდება ყველა იურისტი, რომელიც ხელს მოაწერს უკანონო გარიგებას. ნუ დამალავთ სიმართლეს. ამით თქვენ გადაარჩენთ ფოტოკორესპონდენტებს ჯაშუშობის ცრუ განაჩენისგან და ამით გადაარჩენთ პროფესიულ ღირსებას“!** – ეს გახლავთ ციტატა გიორგი აბდალაძის უკვე ყოფილი ადვოკატის ეკა ბესელიას მიმართვიდან.

ეკა ბესელია აღნიშნავდა, რომ აბდალაძემ საპროცესო შეთანხმებაზე თხოვნის განცხადება ზეწოლის შედეგად დაწერა. მანამდე აბდალაძემ დამატებითი ჩვენება მისცა, რომელშიც მის მიერ აღიარებით ჩვენებაში დაშვებული უზუსტობები „გაასწორა“.



გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი და საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე თანხმობა განაცხადა მეორე ბრალდებულმა ზურაბ ქურციკიძემაც, რომლის ადვოკატი ნინო ანდრიაშვილი თავად ჩამოშორდა საქმეს. ანდრიაშვილმა ქურციკიძესთან პირველივე შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ მასზე ფიზიკური ზეწოლა ხორციელდებოდა, რაც თავად ქურციკიძემაც დაადასტურა, რომელიც მაშინ ბრალს არ აღიარებდა.

საპროცესო შეთანხმების გაფორმება მოითხოვა ირაკლი გედენიძემაც.

საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა, რომელიც დაკავებულებთან ხელისუფლების ურთიერთობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ პროცედურად იქცა, 2004 წელს დაინერგა ქართულ სამართლებრივ სივრცეში.

ეს არის შეთანხმება პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის. თუ ბრალდებული ბრალს აღიარებს, სასჯელი შეუმსუბუქდება და მის მიმართ დანაშაულისთვის ნაკლებ მკაცრი სანქცია იქნება გამოყენებული. პროკურორი ასახელებს ფულად კომპენსაციასაც, რომელიც დამნაშავე მხარემ უნდა გადაიხადოს. პროკურორსა და დაცვის მხარეს შორის შეთანხმება წერილობით ფორმდება და დასამტკიცებლად სასამართლოს წარედგინება. სასამართლო შეთანხმების ტექსტს განიხილავს და თანხმდება, ან უარს ამბობს მის დამტკიცებაზე. მოსამართლე ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ შეთანხმება ნებაყოფლობით, დაშინების, მოტყუებისა და ძალადობის გარეშე ფორმდება. მოსამართლე უნდა დარწმუნდეს იმაშიც, რომ ბრალდებულმა კვალიფიციური იურიდიული დახმარება მიიღო და იცის თუ არა, რომ შეთანხმების საფუძველზე უარს ამბობს სამართლიანი სასამართლოს გამართვის უფლებაზე.

**საქართველოში მომხდარ დანაშაულისა და ბრალდებულებთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმების სტატისტიკა ასეთია:**

**2005 წელს მოხდა 7 358 დანაშაული, გაფორმდა 932 შეთანხმება.**

**2006 წელს მოხდა 13 602 დანაშაული, გაფორმდა 3 791 შეთანხმება.**

**2007 წელს მოხდა17 526 დანაშაული, გაფორმდა 8 432 შეთანხმება.**

**2008 წელს მოსდა 17 639 დანაშაული, გაფორმდა 9 207 შეთანხმება.**

**2009 წელს იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით მოხდა 9 459 დანაშაული, გაფორმდა 5 380 შეფანხმება. 2008 წელს მხოლოდ რვა თვის განმავლობაში საპროცესო შეთანხმებებით ხაზინაში შევიდა 32 760 994 ლარი, ხოლო 2010 წელს საპროცესო შეთანხმებებმა სახელმწიფო ბიუჯეტი 112 795 907 ლარით შეავსო.**

ეს გახლავთ საპროცესო შეთანხმებებისა და მის საფუძველზე ბიუჯეტში გადარიცხული თანხების ის სტატისტიკა, რაზეც დღეისთვის ხელი მიგვიწვდება. აქ არ არის ბოლო ორი წლის სრული მონაცემები, თუმცა ვფიქრობთ, რომ გარკვეული დასკვნების გამოსატანად ესეც საკმარისია, მით უმეტეს, რომ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ არსებითად არაფერი შეცვლილა.

არაპროფესიონალისთვისაც კი ადვილი იქნება იმის მიხვედრა, რომ ეს, ერთი შეხედვით, ჰუმანური სამართლებრივი პროცედურა თავის ჰუმანურ შინაარსს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებს, თუ მართლმსაჯულების სისტემის ყველა რგოლი გამართულად მუშაობს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო „სუსტია“, ხოლო პროკურატურა „ძლიერი“, სულ ადვილად შეიძლება ხელისუფლების მხრიდან ბიუჯეტის შევსების ეფექტიან ხერხად გადაიქცეს, ასევე არასასურველი პიროვნებებისა და ოპონენტების აბსურდული ბრალდებების საფუძველზე ანგარიშსწორების საშუალებად - განსასჯელი ხომ თავად ამბობს სამართლიან სასამართლოზე უარს.

სწორედ ამ ანგარიშსწორებას ეჭვობდა საზოგადოება, როდესაც ხელისუფლებამ ჯერ გრიფი „საიდუმლო“ დაადო ფოტორეპორტიორების საქმეს, შემდეგ კი თვითაღიარებები და მათი მხრიდან საპროცესო შეთანხმების მოთხოვნა გამოაქვეყნა.

ეს ეჭვები დაადასტურა საქმის ირგვლივ დატრიალებულმა ბოლო მოვლენებმა.

უკვე, თითქმის გადაწყვეტილად შეიძლება იმის თქმა, რომ შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ ასეთი რიხით დაპირებული სასამართლო პროცესი, სადაც ფოტორეპორტიორთა ბრალეულობის დამამტკიცებელი საბუთები იქნებოდა წარმოდგენილი და რომლის შემდეგაც ჟურნალისტებს ბოდიშის მოხდაც მოუწევდათ, აღარ შედგება. დაკავებულთა ბრალეულობის დამადასტურებელი ახალი მტკიცებულებების გამოქვეყნებას, რომლებმაც დამატებითი ეჭვები აღძრა, მთავარი პროკურატურის განცხადება მოჰყვა.

პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. როგორც გაირკვა, გარიგებაზე ხელისმომწერი ადვოკატებიც მოინახა.

მოკლედ, დანაშაულებათა და საპროცესო შეთანხმებათა სტატისტიკას კიდევ ერთი ბუნდოვანი და გამოუძიებელი საქმე დაემატა.

**დავით შალიკაშვილი.**
**ინტერპრესი**

ვარაუდი

# „ბოტანიკური ბაღის განადგურება საუკუნის დანაშაული იქნება“

**ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების განცხადებით, „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის 200-მდე თანამშრომელს უმუშევრად დარჩენა, ბაღს კი გაუქმება ემუქრება“. ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი უკვე 4 წელია გაერთიანებულია და ილიას უნივერსიტეტის დაქვემდებარებაშია. 4 ივლისს ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ თანამშრომლებს საბიუჯეტო დაფინანსების განულებისა და ახალი ხელშეკრულებების შესახებ აცნობა.**

როგორც ბაღის თანამშრომლები განმარტავენ, ახალი ხელშეკრულებებით მათ ილიას უნივერსიტეტი ხელფასს აღარ გადაუხდის და თანამშრომლების ანაზღაურება საქველმოქმედო ფონდ „ქართუზე“ იქნება დამოკიდებული. ამ ტიპის ხელშეკრულებებზე ბაღის თანამშრომლების უმრავლესობა, მეცნიერები და მკვლევარები ხელის მოწერას არ აპირებენ.



**„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი ილიას უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუმცირეს სახელმწიფო დაფინანსება, შესაბამისად ჩვენ გაგვინულდა სახელმწიფო დაფინანსება“,** – აღნიშნა ბაღის დირექტორმა შალვა სიხარულიძემ.

მისი თქმით, ის არ აიძულებს თანამშრომლებს ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერას. იმ შემთხვევაში კი, თუ ბაღის თანამშრომლები ხელშეკრულებებს არ გააფორმებენ, ილიას უნივერსიტეტი მათ ერთი თვის კომპენსაციას გადაუხდის და სამსახურიდან გაათავისუფლებს.

ასევე შალვა სიხარულიძე ადასტურებს გავრცელებულ ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, რომ არის საუბარი ბაღისა და ინსტიტუტის გაყოფისა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის თბილისის მერიისთვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღს ოფიციალურად ბოტანიკური ბაღი 1845 წელს ეწოდა. ბაღის ფართობი 128 000 ჰექტარია. ბაღში საქართველოსა და კავკასიაში უნიკალურ მცენარეთა ნაკვეთები, ასევე ტროპიკული ორანჟერეა და წითელ წიგნში შეტანილი მცენარეები ინახება. მეცნიერ-თანამშრობლები თვლიან, რომ ბოტანიკური ბაღის გაუქმება საუკუნის დანაშაული იქნება.

ბაღის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე „ქართული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი სოფიო ხორგუანი აცხადებს, რომ **„ხელისუფლება ბოტანიკური ბაღის განადგურებას ცდილობს და ამ მიზნით შემოვლითი გზა აირჩია“**. მისივე თქმით, ეს დაწესებულება ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის დაქვემდებარებიდან დედაქალაქის მერიის დაქვემდებარებაში გადადის:

**„გაურკვეველია, რა მიზანს ისახავს თბილისის მერიისთვის ბოტანიკური ბაღის გადაცემა. ფაქტობრივად იქმნება სახელისუფლებო კორუფციის კიდევ ერთი პრეცედენტი. არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში უნიკალური ნარგავები გაიჩეხოს და განადგურებული ბოტანიკური ბაღის ადგილზე დიდი სავაჭრო კომპლექსი ანდა რაიმე სხვა კომერციული დანიშნულების ობიექტი ვიხილოთ, რომელსაც დედაქალაქის მერია გიგი უგულავასთან დაახლოებულ ბიზნესჯგუფს გადასცემს“.**

როგორც ხორგუანი აცხადებს, გაუგებარია, ვინ არის პასუხისმგებელი ბოტანიკური ბაღის 200 თანამშრომლის სოციალურ მდგომარეობაზე. მისი განცხადებით, მათი უმრავლესობა უსამსახუროდ რჩება.

„ქართული პარტიის“ პოლიტსაბჭოს წევრი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებს ყურადღებას:

**„ოფიციალურად, ბოტანიკური ბაღის ტერიტორია 128 ჰექტარს შეადგენს. თუმცა, ბაღის დირექცია აცხადებს, რომ ბოტანიკური ბაღის ფართობი მხოლოდ 98 ჰექტარია. არავინ იცის, ეს 30 ჰექტარი როდის და როგორ გაქრა. არ უნდა დავუშვათ, რომ ბაღის ტერიტორია მომავალში კიდევ უფრო შემცირდეს. ეს არ არის „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გაშენებული პატარა სკვერი. ბოტანიკური ბაღი თითოეული ჩვენგანის სიმდიდრე და კუთვნილებაა“.**

ცნობისთვის, თბილისის ბოტანიკური ბაღი, ყოფილი სამეფო ბაღი, სოლოლაკის ქედის სამხრეთით, მდ. წავკისისწყლის (ლეღვთახევის)ძ ხეობაში მდებარეობს. რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების შემდეგ ბაღი სახელმწიფო საკუთრება გახდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1845 წელს მას ბოტანიკური ბაღი ეწოდა.

1896-1904 წლებში ბაღი დასავლეთისკენ გაფართოვდა. 1932-58 წლებში მას მიემატა ყოფილი მუსლიმური სასაფლაოს ტერიტორია წავკისისწყლის მარჯვენა ნაპირზე და თაბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდზე. აქ შემორჩენილ საფლავებს შორის აზერბაიჯანელი მწერლის მირზა ფათალი ახუნდოვის (1812-1878ძ საფლავია.

ბოტანიკურ ბაღში წარმოდგენილია საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონების ფლორის მდიდარი კოლექციები. ბაღის ფარგლებში წავკისისწყალზე რამდენიმე ხიდია გადებული. მათ შორის გამოირჩევა 1914 წელს აშენებული თაღოვანი ხიდი ჩანჩქერის თავზე.

ბაღის მთავარი შესასვლელი ბოტანიკური ქუჩის ბოლოსაა, ნარიყალას ძირას. 1909-14 წლებში სოლოლაკის ქედში გაიჭრა გვირაბი და გაკეთდა მეორე შესასვლელი ლადო ასათიანის ქუჩიდან.

ბოტანიკური ბაღი არის სპეციალურად გაშენებული ბაღი, სადაც გამოჰყავთ სხვადასხვა ჯიშის მცენარეები და ატარებენ მათზე დაკვირვებებს. ბაღში ფლორის 3500-მდე ნაირსახეობაა წარმოდგენილი. მათ შორისაა საქართველოს ენდემური,იშვიათი და გადაშენებადი სახეობები, რაც თბილისის ბოტანიკურ ბაღს უნიკალურს ხდის. ასევე აქ იხილავთ მცენარეებს მსოფლიოს მრავალი კუთხიდან: ხმელთაშუაზღვისპირეთიდან, ჩრდილო ამერიკიდან, ჩინეთიდან, იაპონიიდან, ჰიმალაის მთებიდან, ციმბირიდან... ასევე – უიშვიათეს მცენარეს, როგორიცაა მოღვინისფრო პიონი „მაიკო“ და იბერიული ირისი, რომლებიც ბუნებაში აღარ გვხვდებიან. მცენარეები წელიწადის სხვადასხვა დროს ყვავიან, მათ შორის არის ჩინური ხიმონანტუსი, რომელიც ყვავილობით ზამთარში ახარებს მნახველს. შეგიძლიათ იხილოთ ჯუჯა ფიჭვები, ცხრატყავა, უთხოვერი, რომელსაც წითელ ხესაც უწოდებენ.

ადგილობრივი მცენარეების ასეთი მრავალფეროვნება განპირობებულია ბაღის სხვადასხვა რელიეფური და მიკროკლიმატური პირობებით. აქვე გვხვდება ცხოველთა სამყაროს წარმომადგენლებიც: მელიები, ტურები, ზღარბები, ციყვები, კუ, გველები და ა. შ.

**მერაბ ბრეგაძე,**
Presage.tv

ყველაფერი იყიდება...

# ვიღაც ვერონიკა ქობალიამ სატელევიზიო ანძის ბედი არ უნდა გადაწყვიტოს!

**ხელისუფლებამ ელექტრონულ აუქციონზე გასაყიდად საქართველოს ტელეანძა წარადგინა მიუხედავად იმისა, რომ 1955 წელს აშენებული თბილისის ანძა სახელმწიფო საკუთრება და სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულების ობიექტია. ამასთან, ობიექტი გადარქმეული სახელით (ალფა-კომი) გაიტანეს აუქციონზე. როგორც სპეციალისტები აცხადებენ, ეს გამიზნულად მოხდა, რათა საზოგადოება ვერაფერს მიმხვდარიყო და ზაფხულის პერიოდში გადაებარებინათ თბილისის ანძა სხვა მესაკუთრისთვის.**

უკვე საუბრობენ, რომ გასხვისებულ ანძას ხელისუფლება წინასაარჩევნოდ მედიის შესავიწროებლად გამოიყენებს. კონკრეტულად, სარელეო გადასახადებზე ძალიან მაღალ ტარიფებს დააწესებს, რასაც თავისუფლად გადაიხდიან სახელისუფლო ტელეკომპანიები, დამოუკიდებელი ტელევიზიები კი მაუწყებლობას შეწყვეტენ. საუბარია, ამ ობიექტში ჩართულ 35 სატელევიზიო და 34 რადიოარხზე.

მართალია, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საიტზე მითითებულია, თითქოს ტელეანძა 4 წლის მართვის უფლებით გაიცემა, მაგრამ საეჭვოა, მისი სრული გასხვისება არ ჰქონდეთ ჩაფიქრებული. მით უფრო, რომ მთელი ეს ქონება მიზერულ 10 მილიონ ლარადაა შეფასებული, რომ არაფერი ვთქვათ, მთაწმინდაზე არსებულ 358 000 კვადრატული მეტრ ფართობზე, სადაც თბილისის ტელეანძა არის აღმართული. შესაბამისად, ეს ტერიტორიაც იმავე 10 მილიონ ლარად ახალი მმართველის ხელში გადავა.

ტელეკომპანია „კავკასიის" დირექტორი ნინო ჯანგირაშვილი აცხადებს, რომ აუქციონი ფორმალობაა. ამის ვარაუდს მას ისიც უმძაფრებს, რომ ეს თემა დახურულია და ეკონომიკის სამინისტრო არანაირ ინფორმაციას არ იძლევა. მისი აზრით, ხელისუფლებას უკვე შერჩეული ჰყავს კომპანია, რომელიც მათივე „ძმაკაცებისგან" შედგება და ფორმალური აუქციონის შემდეგ, ჯერჯერობით ოთხი წლით, შემდეგ კი ტელეანძას, ალბათ, საბოლოოდ ჩაიგდებენ ხელში.

ნინო ჯანგირაშვილს ისიც აეჭვებს, რომ აუქციონის გამოცხადებიდან მის ჩატარებამდე სულ რაღაც 12-დღიანი ვადაა. მისი თქმით, ასე სწრაფად ვერცერთი კომპანია ვერ აიღებს 12-მილიონიანი თანხის დაბანდების ვალდებულებას, თუ სერიოზულად არ შეისწავლის იმ ბიზნესს, რაშიც 12 მილიონი უნდა ჩადოს. მით უფრო, რომ მარტო ანძის ქონების, აუდიტის დასკვნების შესწავლას ძალიან დიდი დრო სჭირდება.

**„რა თქმა უნდა, აქ პოლიტიკური ინტერესია. თან საუბარი არაა მარტო თბილისის ანძაზე, არამედ აქ თავს იყრის მთელი საქართველოს მასშტაბით ასეულობით ანძა და სარელეო ხაზები. ვფიქრობ, ხელისუფლებას რაღაც ისეთი აქვს ჩაფიქრებული, რისი გაკეთებაც სახელმწიფო შპს-ს სახელით არ სურს, ამიტომ მერე ხელისუფლება გვეტყვის, რომ ეს არის კერძო კომპანია და მე თავი გამანებეთო. თუ კერძო კომპანია ტელევიზიებისთვის გადასახადს გააძვირებს, ისევ ჩვენი ზურგიდან ამოიღებენ ამ ფულს, როგორც მოხდა „მარშრუტკების" შემთხვევაში. ბუნებრივია, გადასახადს გააძვირებენ, რადგან 12 მილიონი აქვთ ჩასადები. არავინ მოიტანს ამ 12 მილიონს თავისი სახლიდან",** — აღნიშნავს ნინო ჯანგირაშვილი პრესაგე.ტვ-სთან საუბარში.

ტელეკომპანია „კავკასიის" დირექტორი აცხადებს, რომ ორშაბათიდან ქართული მაუწყებლები უცხოურ ჟურნალისტურ ორგანიზაციებს, საელჩოებს მიაწვდიან ხმას, რადგან ასე ჩუმად, ყოველგვარი საჯაროობის გარეშე ამხელა სტრატეგიული ობიექტის გაყიდვა არ შეიძლება. მით უფრო, როცა აქ უშიშროების, შსს-ის, მობილური კომპანიების გადამცემებია დაყენებული. თუკი ვინმე რაიმე სიხშირეს იყენებს საქართველოში, ყველა მათგანი ტელეცენტრის მომსახურებით სარგებლობს.

**„ტელევიზიების გაჩერების მცდელობას ამას ვერ დავარქმევ, რადგან ისეთი სკანდალი ატყდება, თვითონ დაინახავენ. ასე არ არის, ვიღაც ვერონიკა ქობალიამ გადაწყვიტოს და მიშამ. ამას დიდი საერთაშორისო რეზონანსი ექნება. საქტელერადიოცენტრს, რომელიც გადააკეთეს „ალფაკომად", მაუწყებლობის შესახებ კანონით ევალება, რომ მაუწყებელს მოემსახუროს არადისკრიმინაციული ტარიფით. მაინტერესებს, როდესაც მედიის მდგომარეობა უარესდება, არის თუ არა ეს მედიაზე დარტყმა? „მაესტროზე" ასეთი პირდაპირი დარტმა შეიძლება არ არის, რადგან „მაესტრო", საერთოდ, ანძით სარგებლობს თუ არა, ესეც კი არ ვიცი, მაგრამ გადამცემები მეტ-ნაკლებად ყველას სჭირდება ანძაზე, იმავე საპატრიარქოს ტელევიზიას, რადიოებს. რეაგირებაც ვერ მოვასწარით, სრულიად შემთხვევით გავიგე, რადგან სახელი შეუცვალეს და დაარქვეს „ალფაკომი", აბსოლუტურად ქურდულად, ჩუმად ზაფხულში გამოიტანეს აუქციონზე".**

იმის გამო, რომ ტელეანძა ერადერთი ბუნებრივი მონოპოლისტია თბილისში, ჯანგირაშვილი მიიჩნევს, რომ მის ახალ მმართველებს შეუძლიათ, კატასტროფულ თანხამდე გაზარდონ მომსახურება. ამდენად, ტელევიზიები მათ კეთილ ნებაზე იქნებიან დამოკიდებულნი.

ტელეკომპანია „მაესტროს" ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი წელიწადნახევრის წინანდელ პერიოდს იხსენებს, როცა მან საჯაროდ განაცხადა, რომ ხელისუფლება საკაბელოების მონოპოლიას აპირებდა და მათ მალე ჩაიგდებდა ხელში.

**„მართლაც, საკაბელოებს დაერივნენ. რაც შეეხება ანძას, თუკი იგი გააძვირეს, შესაბამისად, გაიზრდება ტარიფები და აუტანელი სიტუაცია იქნება. ამით პირველ რიგში, დაარტყამენ თავისუფალ მედიას, რადიოებსა და ტელეკომპანიებს. არა მარტო „ტელემაესტრო", არამედ „რადიომაესტროც" სარგებლობს ამ ანძით და აუცილებლად პრობლემები შეგვექმნება. წლიდან წლამდე ისედაც ძლივს გაგვაქვს თავი. მიუხედავად იმისა, რომ „მაესტროში" ადრინდელთან შედარებით უკეთესი სიტუაციაა, ვერ ვიტყვით, რომ ფუფუნებაში ვცხოვრობთ. ხშირად გვაქვს ხელფასების დაგვიანება, ხელმომჭირნედ ვცხოვრობთ. აქედან გამომდინარე, ანძის გადასახადის გაზრდაზე საუბარი ზედმეტია. ანძას კიდევ არაფერი უშავს, ხომ იცით, „სილქნეტისა" და „კავკასუსის" პასუხი? -კერძო კომპანია ვართ, არ გვინდა და არ ჩავრთავთ „მაესტროსო". ანძის მესვეურებიც ამავეს იტყვიან, კერძო კომპანია ვართ და არ ჩაგრთავთო",** — აცხადებს მამუკა ღლონტი პრესაგე.ტვ-სთან საუბარში.

მისი აზრით, სახელმწიფო ვერ გაიმართლებს თავს, თითქოს ანძის გასხვისებით რაიმე ეკონომიკურ სარგებელს ნახავს, რადგან არის ისეთი რამ, რისი გაყიდვაც არ შეიძლება.

**„სტრატეგიული მნიშვნელობისაა ანძა. ანძას რამე რომ მოუვიდეს ან „ცუდი ადამიანის" ხელში აღმოჩნდეს, ინფორმაციის გარეშე დარჩება მთელი საქართველო. სიტყვაზე, ვთქვათ, ვულკანმა ამოხეთქა, ცუნამი მოდის, მიწისძვრაა მოსალოდნელი, ვერაფერს გავიგებთ, რადგან ვის ხელში აღმოჩნდება, ღმერთმა იცის".**



მამუკა ღლონტი არ გამორიცხავს, ანძა რუსეთის ხელში აღმოჩნდეს, რადგან ხელისუფლების ლოგიკით, თუ ვინმე რუსეთთან თანამშრომლობს, თურმე აგენტი ყოფილა, ხოლო თვითონ რუსეთს რომ მიჰყიდეს ყველაფერი, ეს უკვე ბიზნესია.

**„გახსოვთ ის 25 მილიონი, რომელიც „რუსთავი 2"-სა და „იმედს" ჩამოაჭრეს? რახან ვალი არ გვქონდა, ვინმემ „მაესტროს" მოგვცა ის 25 მილიონი წინასწარ? მას თუ შეღავათს უკეთებ, მეც ხომ უნდა ვისარგებლო ამ შეღავათით? ის, რომ სახელისუფლო არხებს აქვთ თავიანთი შემოსავალი, ეს ზღაპარია. ისინი სხედან ბიუჯეტზე, მიუხედავად იმისა, რომ რეკლამა აქვთ, ეს რეკლამაც ბიუჯეტიდან მოდის. წესით, ეს რეკლამა უნდა ნაწილდებოდეს მთელ მედიაზე, ამ დროს კი ნაწილდება სამ თუ ოთხ კომპანიაზე".**

ტელეანძასთან მიმართებით შექმნილი ვითარების მიუხედავად, მამუკა ღლონტი გამოსავალს ისევ მედიის გაერთიანებაში ხედავს. მით უფრო ახლა, როდესაც ჟურნალისტები საზოგადოების თვალში მაღალ ტალღაზე აღიქმებიან, რადგან ხალხმა პირველად ნახა, რომ ამ ქვეყანაში ვიღაცამ ბრძოლა მოიგო.

პრესაგე.ტვ-მ ეკონიმიკის სამინისტროსთან დაკავშირება სცადა, თუმცა ამ უწყების პრესსამსახურში განგვიმარტეს, რომ ოფიციალური ინფორმაცია მათ საიტზე დევს და, რომ სამინისტრო დამატებით კომენტარს ტელეანძის გაყიდვამდე არ აპირებს.

ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში გია ხუხაშვილი მიიჩნევს, რომ ტელეანძის გაყიდვაში დიდი რისკია ჩადებული და განსაკუთრებით, საქართველოსნაირი ქვეყნებისთვისაა ეს საშიში.

**„იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის ანძა კომუნიკაციების ბაზარზე ბუნებრივი მონოპოლისტია, წინააღმდეგი არ ვარ, კერძო მენეჯერის ხელში გადავიდეს. თუმცა აქ უმკაცრესი რეგულაციები უნდა დაწესდეს: მომსახურების ფასებთან დაკავშირებით, რაც პირდაპირ უნდა რეგულირდებოდეს და სატენდერო პირობებში წინასწარ უნდა იყოს ჩადებული ის ზღვრული ტარიფები, რაც შეიძლება გამოყენებული იყოს ამა თუ იმ სუბიექტის მიმართ. ის, რომ ანძა მაინცდამაინც სახელმწიფოს ხელში იყოს, ასე არ ვაყენებ საკითხს.**

**— მიუხედავად იმისა, რომ სტრატეგიულ ობიექტად ითვლება?**

— დიახ, ამის მიუხედავად. რამდენადაც მესმის, მისი პრივატიზება არ ხდება, უბრალოდ, ამ ეტაპზე აპირებენ მის მართვაში გადაცემას. ამდენად, მართვაში გადაცემას მხოლოდ ძალიან მკაცრად გაწერილი პირობებით შეიძლება დავთანხმდეთ. ისე არ მოხდეს, როგორც იმავე სამარშრუტო ტაქსებთან მიმართებით. გვიპრდებოდნენ, რომ ფასები არ გაიზრდებოდა და დღეს კი ფაქტის წინაშე დაგვაყენეს.

**— თავისუფალი ტელევიზიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ტელეანძის სხვა მმართველის ხელში გადაცემა მათ ბიუჯეტზე უარყოფითად აისახება, და, რასაც უნდათ, იმ ტარიფს დაუწესებენ.**

— მათ ბიუჯეტს იმ შემთხვევაში დაარტყამს, თუ მომსახურება გაუარესდა და ფასი გაიზარდა. ამიტომ წინასწარ ხელშეკრულებითა და სატენდერო პირობებით უნდა იყოს განსაზღვრული, რომ ტარიფებთან დაკავშირებით მკვეთრი ცვლილებები არ მოხდება, ისევე, როგორც — მომსახურების ხარისხთან მიმართებით. არ უნდა მოხდეს ისეთი რამ, როდესაც დღეს „სილქნეტი" „მაესტროს" არ რთავს, რადგან „არ ევასება" და რა ქნას? მის „გემოვნებაში" ვერ ჯდება „მაესტრო".

ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს, რომ კერძო ოპერატორმა თქვას, რა ვქნა, აქუბარდიას თვალის ფერი არ მომწონს, ამიტომ, მისი ანტენა და მისი გადამცემი არ მჭირდებაო. აქ არის ერთი პარამეტრი, რაც საუკუნოდ უნდა იყოს გათვალისწინებული — პოლიტიკური რისკები. ჩვენ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, ვინ იქნება ანძის მფლობელი და რატომ?

**— ბუნებრივ მონოპოლიებთან მიმართებით რა პრეცედენტები არსებობს უცხოეთში? როგორ ხდება ეიფელის, ოსტანკინოს შემთხვევაში?**

— ოსტანკინოსთან დაკავშირებით რა მოგახსენოთ, მაგრამ ეიფელთან მიმართებით, კანონმდებლობით, იქ იმდენად ხარ დაცული, რომ შენთვის პრობლემას არ წარმოადგენს, თუ კერძო პირის ხელში გადავა ეს ყველაფერი. უცხოეთში დამცავი მექანიზმები არსებობს და ის საფრთხეები, რაც საქართველოშია, უბრალოდ, არ არის.

**მანანა ნოზაძე,**
Presage.tv

წკეპლიკა

## „ალეღვებული" საქალეთი

**ლეღვის ფოთლის ნახარშის გამოყენებით სხეულის გარუჯვის მცდელობისას მიღებული სიდამწვრის პირველმა შემთხვევამ, როგორც ჩანს, მშვენიერთა სქესის ზოგიერთ წარმომადგენელს აქამდე ვერ ასწავლა ჭკუა.**

**დღე არ გავა, რომ ტელეეკრანით მორიგი დამწვრობის შემთხვევა არ „მოგვახარონ", თითქოს უამისოდ გვაკლდეს უსიამოვნო ამბები...**



**ძვირფასო გარუჯვის მოყვარულნო, უძველეს საბერძნეთში ლეღვისა და იმისი ფოთლების მეტი რა იყო, მაგრამ ოლიმპოს მთაზე მშვენიერი გაშიშვლებული ქალღმერთები მაგ ფოთოლს მხოლოდ სარცხვენელის დასაფარად ხმარობდნენ — თქვენზე ნაკლებად ეწადათ ბრინჯაოსფერი სხეულის ქონა, თუ რა? მაგრამ იცოდნენ ამ ჭირის თაობაზე...**

**ასე რომ, ჩემი მოკრძალებული რჩევა იქნება — გარუჯვაზე ოცნებათა მოთოკვით დაივიწყეთ თარსი ლეღვის ფოთოლი...**

**რამაზ გორგაძე**

რეპლიკა

## გეშინოდეს განკითხვის ჟამის!

**რას უბნობ, ხელისუფალო, დაკარგული ტერიტორიები ქვების გროვად გამოაცხადე? ნუთუ არ იცი, რომ ამ ქვებზე ასომთავრული წარწერები დღესაც შემორჩენილია? ნუთუ უბრალო ქვებია ბიჭვინთის, ათონის, ილორის, ბედიის მონასტრები? რად მიუბოძე ძირძველი მიწები მტერს, რად აცარიელებ ქართულ სოფლებს? რად ამრავლე ქაჯნი ქვეყნის შინა, რად განავრცე სიბნელე სულისა?**

**გეშინოდეს განკითხვის ჟამის!**

**ლონდა მდივანი**

◉ ვითხოვ სიტყვას!



# ვის აშაყირებს პრეზიდენტი?

**არსებობს მოსაზრება, რომ მიხეილ სააკაშვილი, გარდა იმ მოვალეობებისა, რომელიც მას სამსახურებრივად ეკისრება, ბევრი სხვა საქმიანობითაც არის დაკავებული. ისეთი საქმიანობით, რომლისთვისაც მას, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს, არ უნდა ეცალოს, ან პირდაპირ ვთქვათ, საერთოდ არ არის მისი საქმე. მაგალითად, იმის გადაწყვეტა, თუ ვინ უნდა გაიმარჯვოს „ევროვიზია-ჯუნიორში“, როგორ განათდეს სატელევიზიო ანძა, როგორი ხიდი გაიდოს მტკვარზე, რა ფერად შეიღებოს მისივე გემოვნებით აშენებული ან რესტავრირებული ნაგებობები...**

ბათუმში სასტუმრო „რედისონის“ გახსნაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ „ინტელექტუალური“ ოპონენტის მიმართ ნათქვამმა ფრაზამ – „ვაი შენს პატრონს“, დაგვარწმუნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიმართ არსებულ ამ მოსაზრებას მართლაც აქვს საფუძველი.

ზემოთ ნახსენები ოპონენტი კი თამარ ამაშუკელი გახლავთ, რომელმაც ქვეყანაში მიმდინარე აღმშენებლობის მიმართ თავისი კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა და მას კიჩი უწოდა, რითიც მის სავარაუდო მთავარ შემოქმედს მიხეილ სააკაშვილს არა მხოლოდ გემოვნება დაუწუნა, არამედ მენტალობაში არსებულ პრობლემებზეც მიუთითა.

**„კიჩი მათი კულტურაა, ვინც ხელოვნებისგან უაზრობამდე დაყვანილ სიმარტივეს, ფერად ვიზუალსა და იაფ ფასს მოითხოვს. კიჩი ხელოვნების სიმულაციაა. „ნუვორიშები“ მას საზოგადოებაში თავის დასამკვიდრებლად, სახელმწიფო კი მასის სატყუარად იყენებს. კიჩი ილუზორული კეთილდღეობაა. მოზრდილებისთვის შექმნილი და ტირაჟირებული საბავშვო ზღაპარი. კიჩი – ეს არის ავარიული სახლები ვარდისფრად შეღებილი ფასადებით. ეს ის მიდგომაა, რომლითაც ალმაშენებლის გამზირის პარიზად, ხოლო მესტიის შვეიცარიად გადაქცევას ვაპირებთ. სულ რომ ათასობით პიაცა ჩადგან ჩვენს ძველ, ნესტიან, „კოფეთი“ გაჟღენთილ ბათუმში, არ გამოვა მისგან არც ნიცა და არც კანი. ან კი რატომ უნდა გამოვიდეს. ან ვის რად უნდა შენი კიჩი და არქიტექტურული ბიჟუტერია? ჩემი კიჩის სანახავად მე თავად არ დავდივარ სიღნაღში“, – ამ სიტყვებისათვის დაიმსახურა თამარ ამაშუკელმა პრეზიდენტის კრიტიკა, რითიც კიდევ უფრო გაამყარა მოსაზრება, რომ „ახალი“ ბათუმი პირველი პირის შემოქმედებითი ფანტაზიების ნაყოფია, როგორც ერთხელ აღნიშნა – მისი „ქალიშვილია“ და ისე რთავს და კაზმავს, როგორც მოესურვება. ხოლო მას, ვისაც მიაჩნია, რომ ბათუმი მისიცაა და გადაწყვეტილების მიღება თუ არა, აზრის გამოთქმის უფლება მაინც აქვს, აკრიტიკებს და რუსულ არქიტიპად და მონად(!) მოიხსენიებს.**

**თამარ ამაშუკელი გამოეხმაურა პრეზიდენტის ბათუმურ გამოსვლას და მას კორექტულობისკენ მოუწოდა, მისთვის და იმ ახალგაზრდა ბათუმელებისთვის კი, რომლებიც იმ გამოსვლისას სააკაშვილის ზურგს უკან იდგნენ და დაბნეულებს ვერ გადაეწყვიტათ, „ვაი შენს პატრონს“-ზე რა უნდა ექნათ, განმარტავს: „სტატიის აზრი ის იყო, რომ ჩვენი ბათუმი და სიღნაღი ნიცასაც და მონტე-კარლოსაც მირჩევნია. როდესაც ჩვენ ვცდილობთ ჩვენი არქიტექტურულ-ურბანული ქალაქების რაღაცად ქცევას, ამას ვეძახი მე კიჩს – როდესაც შენ არ გაკმაყოფილებს შენი და ცდილობ სხვას მიამსგავსო. მე მომწონს ჩემი კულტურული მემკვიდრეობა, ის კი ცდილობს, მის სხვისთვის მიმსგავსებას“,** – აღნიშნავს თამარ ამაშუკელი.

**„რედისონის“ გახსნაზე პრეზიდენტმა კიდევ „ერთი ინტელექტუალი“ (გოგი გვახარია) ახსენა, რომელმაც ვერ გაიაზრა რიყეზე გაშენებულ ახალ ბაღში გამართული სახალხო სეირნობების მნიშვნელობა და ვერც აბანოთუბანში გამოფენილი ხალხის სიხარული გაიზიარა და გაიგო. კერძოდ, პრეზიდენტმა განაცხადა: საერთოდ დაცინვა არ არის ჩემი სტილი, მაგრამ ასეთი აზრების ავტორი უნდა გავაშაყიროო. ძნელი სათქმელია, როდის აშაყირებდა იგი გვახარიას, როდესაც ეძახდა – ვერც ვერაფერს გაიგებო, თუ მაშინ, როდესაც ინტელექტუალად მოიხსენია“.**

გოგი გვახარია კი პირიქით, ფიქრობს, რომ სააკაშვილმა ვერ გაიგო სწორად მისი ნათქვამი: **„აშკარაა, რომ მიხეილ სააკაშვილს წერილი წაკითხული არ ჰქონდა და ციტატა კონტექსტის გაუთვალისწინებლად წაიკითხა“, – ამბობს გვახარია და იქვე კითხულობს: „ნეტა პრეზიდენტი სასტუმროს გახსნის ცერემონიალში რატომ მონაწილეობს“?**

ეს კითხვაც თუ „კონტექსტის გაუთვალისწინებლად“ წაიკითხა ბატონმა პრეზიდენტმა, ალბათ კიდევ ერთხელ გააშაყირებს ბატონ გოგის და ეტყვის – შენ ვერც მაგას გაიგებო.

**დავით შალიკაშვილი**

◉ განსჯა

# პროფესიონალიზმი თუ პირიქით?..

**დაკავებული, ბრალწაყენებული და, საპროცესო გარიგების შედეგად, გამოშვებული ფოტოგრაფების ისტორიამ მეტად ააღელვა საზოგადოება. ამ აღელვებას უფრო მეტად აღვივებდა მედიის წარმომადგენლების პროტესტი და გაუთავებელი ბჭობა აღძრული საქმის და ძიების დეტალებზე. მედიის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და ექსპერტები აკეთებდნენ პოლიტიკურ და იურიდიულ შეფასებებს. იურიდიულ მხარეს არ შევეხები, რადგან ამ კუთხით, ასე თუ ისე, სადავო ცოტა რამ იყო. რაც დანარჩენებს შეეხება – 99% გაჟღერებულისა ყოველგვარ კრიტიკას სცილდება და უფრო მეტად შესადარია სუსტ სიტყვიერ ბელეტრისტიკასთან. საერთოდ, ნორმალურ პოლიტიკაში მიღებულია გამოხატო პროტესტი რომელიმე უწყების მიმართ, ამ უწყების სტატუსის და მისი ოფიციალური ფუნქციონირების შესატყვისად.**

საზოგადოებისთვის და ქვეყნის პრესტიჟისთვის აჯობებდა მხოლოდ იურისტებს ემსჯელათ – საქართველო შეუდარებლად „ნაკლებ ქულას ჩამოიწერდა“.

დასანანია, რომ ამ საზოგადოებრივ აღელვებაში, მკვეთრად არ გაისმა მთავარი თემა – სპეცსამსახურების მოქმედების ანალიზი.

როგორც ნებისმიერ უწყებაში, სახელმწიფო უშიშროების სადარაჯოზე მდგომთა შორის ხდება ხოლმე შეცდომები, ფორსმაჟორული ვითარება და სხვა მოულოდნელი, არასასიამოვნო შემთხვევები. ასეთ დროს სიტუაციის გამოსწორებას შველის ძველი, მრავალჯერ ნაცადი კლასიკა.



თუ ზოგადად (ჯერ კონკრეტული, ეჭვმიტანილების აღმოჩენამდეძ გაჩნდა ეჭვი ინფორმაციის გაჟონვისა – იწყება მთელი უწყების ტოტალური ფარული შემოწმება ისე, რომ სამი-ოთხი ადამიანის გარდა არავინაა საქმის კურსში. ასეთი შემოწმების ჩასატარებლად მუშავდება ცალკე ოპერაცია: დგინდება საგანგებო-ოპერატიული გრაფიკი, სხვადასხვა საბაბით იცვლება უწყების ყოველდღიური ფუნქციონირების რიტმი, იცვლება მივლინებების და შვებულებების გრაფიკიც...

- თუ, სავარაუდო ეჭვმიტანილი (ე.წ. „თხუნელა“ძ გამოიკვეთა – იწყება მისი კონკრეტული დამუშავება-შემოწმება. ამ შემთხვევაში, გარდა ყველა ცნობილი მეთოდისა, მაგალითად, შესაძლებელია გამოიყენონ: პროვოცირება (მისთვის ყალბი, დეზინფორმაციის შემცველი მასალის „შემოგდებისა“ძ. ამ მასალისთვის თვალის გადევნება თვით უწყებაში, უწყების გარეთ, ქვეყნის საზღვრებს მიღმა და ამის შედეგად მოწინააღმდეგე მხარის ქმედებების გაანალიზება.
- ზოგჯერ ზემოხსენებული ოპერაცია რთულდება, ვინაიდან არ არის გამორიცხული, რომ უწყებაში, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებლად მუშაობდეს, ორი ან მეტი „თხუნელა“. ეს მოწინააღდეგეს მისი აგენტების და მიღებული ინფორმაციის გადამოწმების შესაძლებლობას აძლევს.
- ეჭვმიტანილის ბრალეულობის დამტკიცების შემთხვევაში (ამ წუთიდან დავარქვათ მას „ობიექტი“ძ, საგანგებო ოპერაციების უამრავი გზა არსებობს, აქედან შეგვიძლია ჩამოვთვალოთ მხოლოდ რამდენიმე. **პირველი:** „ობიექტი“ შტატების შემცირების, საშტატო გრაფიკის შეცვლის, უწყების სტრუქტურული ცვლილებების მიზეზით, სხვა უწყებაში მისი გადაყვანის ან სხვა რუტინული მიზეზით, ტოვებს ჩვეულ ადგილსამყოფელს და ოპერაციის ჩამტარებლებს, უწყებას საშუალებას აძლევს, თვალი მიადევნონ მის შემდგომ ქმედებებს... **მეორე:** „ობიექტთან“, მისი გამოაშკარავების შედეგად, იდება (ფარული, შიდასაუწყებოძ ხელშეკრულება ორმაგ აგენტობაზე და ამით იწყება სულ ახალი „სადებიუტო ოპერაცია“. „ობიექტს“ დაუახლოებენ უწყების (ოპერაციაში მონაწილეძ თანამშრომელს ან უწყებასთან დაახლოებულ (აგრეთვე ოპერაციაში მონაწილეძ პირს, რათა „ობიექტმა“ იგი თანამონაწილეობაში ჩაითრიოს – ასეთი კონტრაგენტის ჩანერგვა სულ სხვა სიტუაციას ქმნის და ახალ მიზანსაც აყალიბებს – იწყება კონტროპერაცია. კლასიკური მაგალითია, ანტისახელისუფლებო, მითიური ორგანიზაციის შექმნა, როგორც ეს მოხდა ცნობილ ოპერაციაში სავინკოვის ქვეყანაში შემოტყუების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი საგანგებო ოპერაცია განუმეორებელია – ამის გამზადებული რეცეპტურა არ არსებობს. ამიტომაც, სპეცსამსახურების მუშაობას ხშირად შემოქმედებას ან ჭადრაკს ადარებენ. მაგრამ, როგორც კანონი, ყველა შემთხვევაში, საზოგადოებისთვის ამ სახის ოპერაციები საზოგადოებრივ გამოაშკარავებას კატეგორიულად გამორიცხავენ. თუ „ობიექტი“ დასაკავებელია – საზოგადოებისთვის ოპერატიულად მუშავდება სათანადო ლეგენდა.

ეჭვმიტანილების ღიად დაკავება, საზოგადოებისთვის სპეცსამსახურების ქმედებების (თუნდაც ნაწილობრივძ გაზიარება და მით უმეტეს „სასამართლო პროცესის“ პერსპექტივის გაჟღერება ხდება ძალზედ იშვიათად – ათასიდან ერთხელ.

**ფოტოგრაფების შემთხვევაში ორი დასკვნის გაკეთებაა შესაძლებელი: ან ეს ისტორია ნათელყოფს სპეცსამსახურების სრულ ანტიპროფესიონალიზმს, ან პირიქით – საქმე გვაქვს, მანამდე არნახულ, საგანგებო ოპერაციასთან, რომელშიც ფოტოგრაფები, ამ უნიკალური ოპერაციის, მხოლოდ პატარა ეპიზოდის მონაწილენი არიან. თვით ოპერაცია კი „უმაღლესი პილოტაჟის“ მაგალითია...**

**მალხაზ ჟვანია**

◉ პროტესტი

# „თუ ერთად ვიქნებით, ვერაფერსაც ვერ გვიზამენ“

**(მეორე გვერდიდან)**

ა/ო „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის“ ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის თქმით, ერთადერთი, რასაც ეს ხელისუფლება ექვემდებარება, არის ხალხის ძალა – **„ჩვენ უნდა დავანახვოთ, რომ არ დავთმობთ თავისუფლებას, რომელიც ჩვენი წინაპრების სისხლითაა მოპოვებული“.**

საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანებთან ერთად აქციაზე სიტყვით ნაკლებადცნობილებიც გამოვიდნენ. მათ შორის იყო პირველი არხის ვეტერანი მიხეილ გიჟიმყრელი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ქართველი ხალხი უჩვენებს უთოფო ბრძოლით გამარჯვების მაგალითს.

მაშინ, როცა დენისა და დასუფთავების გადასახადები ერთმანეთს ერწყმებოდა, თბილისის საკრებულოს წევრმა, მეტსახელად „შონზომ“, იგივე გიორგი გაჩეჩილაძემ ერთ-ერთ თბილისელს უშვერი სიტყვებით აგინა. ამის შესახებ რუსთაველის ძეგლთან შეკრებილ ადამიანებს აქციის წამყვანმა მერაბ ჭიქაშვილმა ამცნო. რამდენიმე წუთში მიკროფონთან სწორედ ის ადამიანი მივიდა, ვისაც „შონზომ“ შეურაცხყოფა მიაყენა – **„მე ვარ ტატა ღოღელიანი. მაშინ, როცა ნაგვის და დენის გადასახადების შეერთება უნდა მომხდარიყო, საკრებულოსთან მივედი და იქიდან გამოსულ „შონზოს“ ვკითხე, რა ხდება-მეთქი. მან მომიგო, „არაფერი, მეც თქვენნაირად ვცხოვრობო“. მაშინ წამოდით და შეიხედეთ ჩემს მაცივარში-მეთქი, – ვუთხარი მას. ამ ადამიანმა უშვერი სიტყვებით მაგინა. მისგან ბოდიშის მოხდას მოვითხოვ“.**

რუსთაველის ძეგლთან შვიდ საათზე დაწყებული აქცია ზუსტად ერთი საათის შემდეგ დასრულდა, ილია ჭავჭავაძის ტექსტზე დაწერილი სიმღერით „ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია“. აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, საბჭოთა პერიოდში ყოფილმა პოლიტპატიმარმა ავთო იმნაძემ მოგვიგო:

**„თქვენ ჟურნალისტი ხართ და უნდა იცოდეთ, რომ ეს იყო ეროვნული მოძრაობის ჰიმნი. ოთხმოციანი წლების ბოლოს, „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ გამგეობის შეკრებაზე ეს სიმღერა მივიტანე და ვიკითხე – ეროვნულ მოძრაობას ხომ უნდა ჰქონდეს ჰიმნი-მეთქი? ამაზე ყველა დამეთანხმა. ჰოდა, ამაზე უკეთესს, ალბათ, ვერაფერს შევარჩევთ-მეთქი. მაშინ ტელევიზიაში ვმუშაობდი, ეს სიმღერა არქივიდან გადმოვწერე და მივიტანე. აი, ასე იქცა ეროვნული მოძრაობის ჰიმნად „ჩემო კარგო ქვეყანავ“.**

**ნინო მიქიაშვილი**

## ◉ სარწმუნოება

**შუასაუკუნეებში „დიდი აბრეშუმის გზის“ ერთი განშტოება გადიოდა სამხრეთ კავკასიის ქალაქებზე: ნიშაბური, მუშჰედი, რეი, ჰამადანი, თავრიზი, დარუბანდი, შირვანი, განჯა, თბილისი. იმ დროს საქართველოს დედაქალაქი წარმოადგენდა რეგიონის მნიშვნელოვან სავაჭრო და სამეცნიერო-კულტურულ ცენტრს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ისლამური სამყაროს 40 სწავლული-მოღვაწე ატარებდა მეტსახელს at-Teflisi – „თბილისელი“. მაგალითად, XIII საუკუნის პირველ ნახევარში მაჰმადიანურ ქვეყნებში ფართოდ იყო ცნობილი Hobeysh at-Teflisi, რომელიც ავტორია სპარსულ და არაბულ ენებზე დაწერილი თხზულებებისა ფილოსოფიაში, ასტრონომიაში, მედიცინასა და სხვა დარგებში.**



# „საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი“

## კონფესიათა დიალოგის ისტორიიდან საქართველოში

საქართველო ყოველთვის იყო მრავალეროვანი და მრავალკონფესიური ქვეყანა, სადაც ქართველების მსოფლმხედველობასა და თვითმყოფადობას IV საუკუნიდან განსაზღვრავდა ქრისტიანული სარწმუნოება.

XI საუკუნეში რეგიონსა და მიმდებარე რაიონებში მეტად გართულდა გეოპოლიტიკური სიტუაცია. 1021 წლიდან კასპიის და არალის ზღვებს შორის ველებზე მომთაბარე თურქ-სელჩუკი ოღუზების სახელით ცნობილმა ტომებმა დაიწყეს მოძრაობა ხორსნის მიმართულებით, 1040- 1050 წ.წ. მათ დაიმორჩილეს ცენტრალური ირანი, ფარსი, 1055 წელს აიღეს ბაღდადი, 1064 და 1068 წ.წ. სასტიკად ააოხრეს აღმოსავლეთი საქართველო, ხოლო ცოტა ადრე – საუკუნის შუაწლებში ბიზანტიის ხელისუფლებამ გააუქმა სომხეთის სამეფო. 1071 წელს თურქ-სელჩუკებმა დაამარცხეს ბიზანტიის ჯარი სომხეთში. შემდეგი ათი წლის განმავლობაში თურქ-სელჩუკებმა დაიპყრეს სომხეთი, აზერბაიჯანი, აღმოსავლეთ საქართველო, სირია, პალესტინა. 1080 წელს დაიწყო თურქთა ინტენსიური ჩამოსახლება საქართველოში, ანუ „დიდი თურქობა“.

ასეთ ურთულეს პირობებში, 1089 წელს ტახტის მემკვიდრე 16 წლის ასაკის დავითს **„თვით მამამან დაადგა გვირგვინი მეფობისა“**. მეფე დავითმა მეტად მძიმე მემკვიდრეობა ჩაიბარა: სამეფოს აწეწილ-დაწეწილი საქმეები, ცენტრიდანული ძალების თავაშვებულობა, დატანჯული მოსახლეობა, მოოხრებული ქვეყანა, მემატიანის სიტყვებით – **„თვინიერ ციხეთასა სადმე არა იყო კაცი სოფელსა შინა, არცა შენებულისა“**. ქალაქები – თბილისი, რუსთავი, სომხეთი, სამშვილდე, აგარანი თურქ-სელჩუქების ხელში იყო.

მტკიცე ნებისყოფის მქონე ენერგიული, წიგნიერი მეფე სამშობლოს კეთილდღეობისთვის თავდადებულთა დარაზმვით, ცენტრიდანული ძალების ალაგმვით, რამდენიმე ათეული ათასი ყივჩაღის საქართველოში გადმოყვანის შედეგად ძლიერი, ბრძოლისუნარიანი მუდმივი ჯარის შექმნით, რეგიონში შექმნილი ვითარების გათვალისწინებით (კერძოდ, ჯვაროსნების აქტიურობა ანტიოქიასა და იერუსალიმშიძ, საომარი ოპერაციების დაწყების ინიციატივის ხელში აღებით მიზანმიმართულად შეუდგა დაქუცმაცებული საქართველოს გაერთიანების საქმეს.

მეფემ დიდი ყურადღება დაუთმო ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას: **„რაკი საქართველოს საეკლესიო ცვლილება სასურველად განხორციელდა და ეპისკოპოსებად ღირსეული და არა ორგული, დიდგვაროვან აზნაურთა მიმკერძოებელი, მღვდელ-მთავრები იყვნენ, დავით აღმაშენებელს გულდამშვიდებით შეეძლო, საქართველოს საბოლოვო გაერთიანებას შესდგომოდა“** (ი. ჯავახიშვილიძ.

დავით აღმაშენებელმა 1097 წელს მიაღწია დამოუკიდებლობას – სულთნისათვის შეწყვიტა ხარკის გადახდა, 1121 წელს დაამარცხა მაჰმადიან მმართველთა კოალიციური ლაშქარი დიდგორში, ხოლო 1122 წელს დედა-სამშობლოს დაუბრუნა 400 წლის წინ წართმეული თბილისი.

მეფე დავით აღმაშენებელმა საქართველოს ძლიერებასა და აყვავებას მტკიცე საფუძველი დაუდო.

როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, **„ქრისტიანობის აღმსარებელი საქართველო, საბერძნეთის და ელინური კულტურის მიმდევარი, იმავე დროს არაბულ-სპარსული მაჰმადიანური კულტურისა და პოეზიის თაყვანისმცემელი იყო. მაშასადამე, აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთის და დასავლეთის, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. ამ ორი დიადი მიმართულებით გაპოხიერებულ ქართულ ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული იზრდებოდა და იფურჩქნებოდა საქართველოს მაშინდელი კულტურა“.**

XII–XIII სს. საქართველოში ერთობლივი ძალისხმევით მიმდინარეობდა სხვადასხვა ეროვნებისა და კონფესიების წარმომადგენელთა შორის საერთო საკულტურო მუშაობა. ამას ადასტურებს საგანგებო სასამართლოს მუშაობის შედეგი.

სომეხთა მონასტრებს შორის დავა იყო ატეხილი ძვირფასი ჯვარის გამო. მიმართეს სახელმწიფოს უმაღლეს ინსტანციას – თამარ მეფის კარს, რომელმაც სადავო საკითხის გასარჩევად, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, შექმნა კომისია ჭყონდიდელის, ვითარცა სამეფოს წარმომადგენლის, თავმჯდომარეობით. კომისიაში შედიოდნენ მაღალი რანგის მქონე რამდენიმე დიდებული, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარნი, სომხური გრიგორიანული ეკლესიის ავტორიტეტული წარმომადგენლები, თბილისის ყადი, ანისის ყადი, დვინის ყადი და სურმანის განთქმული შეიხი.

კომისიის კონსტრუქციული, მშვიდობიანი მუშაობის შედეგად პრობლემა მოგვარდა.

ივანე ჯავახიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს: **„მეტად საგულისხმოა, რომ მაჰმადიანთა მონაწილეობას ამ საქმეში ქრისტიანთა სარწმუნოებრივი გრძნობა არ შეუძრწუნებია... აი ეს არის საქართველოს უძლიერესი კულტუროსნობის დამადასტურებელი საბუთი, საერთაშორისო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი!.. ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა, მათ თავიანთ სახელწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნა, რომ ისინიც, როგორც მაგალითად სომხები, ოსები, თვით მაჰმადიანნიც, ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისთვის და კეთილდღეობისთვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვწოდნენ. სწორედ აქ და ამ ხანაში, გამოიჩინეს ქართველებმა დიდი სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორციელების უტყუარი ნიჭი“** („ქართველი ერის ისტორია“, II, თბილისი, 1965, გვ. 307ძ.

**ჯემშიდ გიუნაშვილი,**
პროფესორი

## ◉ თანამედროვე სერბული აფორიზმები

### ბრანა ცრინჩევიჩი

- ვინ იცის, ვის წყვდიადში ვცხოვრობ? ბრმა რომ ვყოფილიყავი, ცხადია, საკუთარ წყვდიადში მომიწევდა ცხოვრება.
- ახალი გზების ძიება არ ღირს, ახალ გზებს გაყვანა უნდა.
- უკვდავი იყო, სანამ ცოცხლობდა.
- მწერალი, რომელსაც ხელისუფლობა მოსურვებია, ბევრად უარესია იმ ხელისუფალზე, რომელიც წერის ჟინს აუტანია.
- ვგრძნობ: ბევრი ჩემს სიცოცხლეს მსხვერპლად მიიტანდა თავისი საკუთარი მრწამსის სამსხვერპლოზე.
- ყოველდღე ვუკვირდები, პატარ-პატარა სისუსტენი როგორ აარაფრებენ დიდ-დიდ წარმატებებს.
- ბევრად აჯობებდა, თუ მამულის საკურთხეველთან, ანუ დაუშრეტელი წმინდა ცეცხლის ადგილას, ყვავილებს კი არა, დროდადრო ანგარიშს მივიტანდით.
- ცხენი ადამიანის საუკეთესო მეგობარია, ძალიან ცუდია, როცა მავანი თავის მეგობარზეა ამხედრებული.
- ადამიანს უფრო ადვილად აუხსნი, რომ ბედნიერია, ვიდრე მაძღარი რომ არის.
- აბა, როგორ უნდა ენდო ადამიანებს, როცა გალიაში საკუთარი წინაპარნი ჰყვანან გამომწყვდეულნი.
- ლომი გვერდზე გადგა, ახლა უკვე ადამიანია ყოველთა ცხოველთა მეფე.
- აღარავითარი დამსახურება აღარა მაქვს, ყველაფრისთვის უკვე გადამიხადეს.
- ხალხში ჩაძირული სუყოველი ტირანის სხეული იმდენ ხალხს გამოდევნის, რამდენსაც ტირანი იწონის.
- მძიმეა იმ ადამიანთა ხვედრი, რომელთა საკუთარი იდეები არ გააჩნიათ, რადგან სხვათა იდეებისთვის უხდებათ ბრძოლა.
- მეგობრები გულსა ჰყვანან, ტვინი კი თავხელმარტოა.
- ბევრად უკეთესად შემეძლო ცხოვრება, მაგრამ მრცხვენია.
- რატომ მარტო ეკლესია? სახელმწიფოსგან ეშმაკიც უნდა გამოვყოთ.
- შემჩნეულია, რომ ყველაზე მეტად ისინი ცრუობენ, ვისთვისაც ყველაზე კარგად ცნობილია ჭეშმარიტება.
- სავარძლები ჩინებული მასალაა ბარიკადების ასაგებად, მაგრამ ბარიკადებისგანაც შეიძლება სავარძლების დამზადება.
- ცუდი არ იქნებოდა, თუ განუვითარებელი ქვეყნები ტანვარჯიშს მიმართავდნენ.
- ვაი იმ უფროსის ბრალი, ვისაც არც ერთი სკოლის მეგობარი არა ჰყავს.
- ნუ მაღვიძებთ, როცა სიზმარს ვნახულობ, და ნუ მარწმუნებთ, სიზმარში ხარო, როცა მღვიძავს.
- მარტო იმან იცის, რა ოხერი რამ არის ცხოვრება, ვინც ერთხელ მაინც ჩამოუგდიათ მაღალი ადგილიდან.
- საზღვარგარეთი ყოვლის უკეთესი მხარეა დედამიწის ზურგზე.
- მეც მიდგას ზურგს უკან ვიღაც კაცი, მაგრამ არ ვიცი, რა უნდა.
- მთელი შემართებით უნდა ვებრძოლოთ კულტს, მეტადრე თუ უპიროვნებოა.



დობრი მუშჯიევის (ბულგარეთი) ნახატი

### დუშან რადოვიჩი

- მოღალატე ქმრები ბევრად სჭარბობენ მოღალატე ცოლებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მოღალატე ცოლზე რამდენიმე მოღალატე ქმარი მოდის.
- ხშირად ერთსა და იმავეს ასჯერ გვიმეორებენ, როგორც ჩანს, თვითონვე არ სჯერათ, რომ ვიჯერებთ, რასაც გვეუბნებიან.
- განსაკუთრებით ნუ ჩაფიქრდებით, როცა ბავშვებს აკეთებთ. თქვენ გააკეთეთ, ჩაფიქრებით მერე უკვე თვითონ ჩაფიქრდნენ.
- დრო გარბის, ვბერდებით და ნელ-ნელა გადავდივართ გრძელ სოფელში.
- თავდაპირველად ვკარგავთ მეოთხეს პოკერისთვის, მერე მესამეს პრეფერანსისთვის, მერე მეორეს დომინოსა და ნარდისთვის...
- ახლა მარტონი ვართ და პასიანს ვშლით – გამოცნობა გვინდა, რა მოგველის.
- საკითხების მოსპობით პასუხებს ვერ მოსპობ.
- ვისაც უსიამოვნო კითხვები არ უყვარს, კიდევ უფრო არასასიამოვნო პასუხებს გადააწყდება.
- პატარა პენსიები წარუმატებელი პოლიტიკაა როგორც სოციალური, ისე სამეურნეო თვალსაზრისით.
- პატარა პენსიით შეუძლებელია ბევრი ჭამაც, ბევრი სმაც, ბევრი მოწევაც და ყოველივე ეს უსასრულობამდე აგრძელებს პენსიონერის ცხოვრებას.
- ჩვენი კაცი მხოლოდ ის არის, ვინც ცოტა რამ იცის. ყოველი ადამიანი, ვინც ჩვენზე მეტი იცის, ჩვენი წინააღმდეგია.
- მწერლები სულ უფრო ბევრდებიან, მკითხველები კი სულ უფრო ცოტავდებიან. ის კი არა, ვინც ადრე მკითხველი იყო, ახლა მწერლობას მიჰყო ხელი.
- ახლანდელი სიძნელენი, ჩვენი არ იყოს, დროებითი მოვლენაა. ამიტომ ერთ-ერთმა – ან სიძნელეებმა, ან ჩვენ – უნდა დავტოვოთ ეს ქვეყანა.
- ჟურნალისტები არ უნდა ცრუობდნენ, მაგრამ არც ყველაფერს უნდა ლაპარაკობდნენ და წერდნენ, რაც იციან. ცოდნით სხვებმაც ბევრი რამ იციან, მაგრამ ჩუმად არიან.

შეაგროვა
გურამ წიკლაურმა

USAID | NEO New Economic Opportunities Initiative
ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა
ამერიკელი ხალხისგან

## USAID/ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა საქართველოში

**Chemonics International Inc.** აცხადებსკონკურსსრეგიონულიგანვითარებისმრჩევლებისთანამდებობაზეUSAID-ის მიერდაფინანსებულიოთხწლიანი პროექტისათვის "ახალიეკონომიკურიშესაძლებლობებისინიციატივა" (NEO). პროექტისმიზანიასოფლისმოსახლეობისშემოსავლებისზრდა, სიღარიბისდონისშემცირება, საკვებითუზრუნველყოფა, მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეოსფეროსუზრუნველყოფაწყლითონის, ცაგერის, ლენტეხის, დუშეთის, ყაზბეგის, გორის, ქარელის, ხაშურის, ზუგდიდისა და წალენჯიხისმუნიციპალიტეტებში. გარდაამისა, NEO საშუალებასმისცემსძველ და ახალიძულებითგადაადგილებულპირებს, რომ მათშეძლონსაკუთარისაცხოვრებლისდამოუკიდებლადმოვლა-პატრონობა. პროექტიასევედახმარებასგაუწევსიმთემებს, რომლებიცდაზარალდნენბუნებრივი ან სხვაკატასტროფებისშედეგად. NEO აღნიშნულიმიზნებისმიღწევასგეგმავსოთხიკომპონენტისმეშვეობით: ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვათემისდონეზე, სოფლისეკონომიკურიგანვითარება, უკიდურესადდაუცველიოჯახებისდახმარება და იძულებითგადაადგილებულპირთაიმსაცხოვრებელისახლებისმდგრადობისუზრუნველყოფა, რომელთარეაბილიტაციაცხორციელდებაამერიკისშეერთებულიშტატებისმთავრობისმხარდაჭერით.

ვაცხადებთკონკურსსრეგიონულიგანვითარებისმრჩევლისკვალიფიცირებულიკანდიდატებისშერჩევისმიზნით, რომლებიცხელსშეუწყობენპროექტისრეგიონებშიგანხორციელებასშემდეგისაქმიანობებისგზით:

• რეგიონულიგანვითარებისმრჩეველი პასუხისმგებელიიქნებაNEO-ს ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვის, სოფლისეკონომიკურიგანვითარებისა და შემოსავლებისგენერირებისსაქმიანობებისკოორდინირებაზეშემდეგირეგიონებიდანერთ-ერთში – რაჭა-ლეჩხუმი, მცხეთა-მთიანეთი, შიდაქართლი, სამეგრელო. კონკრეტულიამოცანებიმოიცავსშემდეგს:
  o თემისმობილიზაციისსპეციალისტისაგანშემდგარიგუნდისზედამხედველობა, რომელთაგანაცთითოეულიიმუშავებს 3-4 თემში, მათმიერქვემოთჩამოთვლილისაქმიანობებისშემუშავებისა და განხორციელებისპროცესში.შესაბამისითემისმობილიზაციისსპეციალისტებისმენეჯმენტიმათსამუშაორეგიონში. სამუშაოსშესრულებასთანდაკავშირებითმკაფიომოლოდინებისდასახვა, პროგრამისამოცანებისშესაბამისად და რეგულარულიოფიციალური/არაოფიციალურირეაგირების, ხელმძღვანელობისა და რჩევა-დარიგებისგანხორციელება, თანამშრომელთაწარმატებისუზრუნველყოფისმიზნით.
  o ურთიერთობისჩამოყალიბება და განვითარებამუნიციპალიტეტისა და თემისხელმძღვანელებთან NEO-ს საქმიანობებისკოორდინაციისმიზნით.
  o ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვისათვისმუნიციპალიტეტებისა და თემებისსამუშაოჯგუფებისშექმნის ან ხელახლაფორმირებისხელშეწყობაშერჩეულქართულორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) თანამშრომლობისგზით.
  o აქტიურიმონაწილეობამუნიციპალიტეტისა და თემისეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვისპროცესში, დახმარებისგაწევამუნიციპალიტეტებისა და თემებისათვისეკონომიკური პრიორიტეტებისა და საჭიროებებისიდენტიფიცირებისმიზნით.
  o NEO-ს თბილისისოფისთანთანამშრომლობითთითოეულშერჩეულთემში მინიმუმ ერთიმცირემასშტაბიანიინფრასტრუქტურული პროექტისიდენტიფიცირებისხელშეწყობა და პროექტისგანხორციელებისმხარდაჭერა.
  o მონაწილეობათემებშიიმკონკრეტულიადგილების, კომპანიების, ბიზნესის ან სხვასექტორებისშერჩევისპროცესში, სადაცწარმატებით შეიძლებაგანხორციელდესსასოფლოეკონომიკურიგანვითარებისაკენმიმართულისაქმიანობა.
  o გრანტებისსაკონკურსოპროგრამასთან და ქვეკონტრაქტებთანდაკავშირებულისაქმიანობებისმხარდაჭერა და მონიტორინგიშერჩეულრეგიონებში, შემდეგისაქმიანობისგანხორციელებისგზით: დახმარებისგაწევაგანაცხადებისმომზადებისა და ბიუჯეტისთაობაზემოლაპარაკებებისწარმოებისპროცესში, ადგილზევიზიტებისგანხორციელება, საქმიანობასთანდაკავშირებულიმიღწევებისა და ფინანსურიხარჯებისგადამოწმება, შესყიდვებთანდაკავშირებულისაჭიროებებისგადამოწმება და გრანტისმიმღებთათვისსაჭიროებისამებრდამატებითიმხარდაჭერისგაწევა.
  o მონიტორინგისა და შეფასებისსათანადომონაცემთაშეგროვება შერჩეულირეგიონებისათვის, NEO-ს თბილისისოფისისმითითებებისშესაბამისად.

• სხვასათანადოსაქმიანობაპროექტისხელმძღვანელისა და რეგიონული პროგრამებისმენეჯერისდავალებით.

დაინტერესებულკანდიდატებსუნდაჰქონდეთშემდეგიკვალიფიკაცია:

• მინიმუმსამწლიანისამუშაოგამოცდილება, სასურველიამსგავს ან ისეთთანამდებობებზე, სადაცაშკარადგამოიკვეთაპასუხისმგებლობისსფეროსზრდა, თანამშრომელთამენეჯმენტისგამოცდილებისჩათვლით.
• საქართველოშიადგილობრივხელისუფლებასთან და სოფლისმოსახლეობასთანმუშაობისგამოცდილებაეკონომიკურიგანვითარებისმხარდაჭერის, შემოსავლებისგაზრდისა და ცხოვრებისპირობებისგაუმჯობესებისშესაძლებლობებისიდენტიფიცირებისმიზნით.
• ბაკალავრისხარისხიშესაბამისსფეროში ან ეკვივალენტურისამუშაოგამოცდილება.
• ქართულიენისთავისუფლადცოდნა. წერისა და პრეზენტაციის, ასევე, დიპლომატიისშესანიშნავიუნარი. ინგლისურიენისთავისუფლადცოდნასასურველია, მაგრამარარისსავალდებულო.
• გრანტებთან და ქვეკონტრაქტებთანდაკავშირებულისაქმიანობისმონიტორინგისგამოცდილება.
• ქვემოთჩამოთვლილირეგიონებიდანერთ-ერთშიცხოვრებისა და მუშაობისშესაძლებლობა - შიდაქართლი, სამეგრელო, მცხეთა-მთიანეთი ან რაჭა-ლეჩხუმი.
• შემდეგიკომპიუტერული პროგრამებისცოდნა: Microsoft Word (ტექსტთან მუშაობა), Microsoft Excel (ცხრილებთანმუშაობა) და Microsoft Outlook (ელფოსტა).

**განაცხადისშეტანისწესი:**
თუთქვენბრძანდებითდაინტერესებული და კვალიფიცირებულიკანდიდატი, გააგზავნეთთქვენირეზიუმე, თავფურცელი, და სამი პროფესიულირეკომენდატორისსაკონტაქტოინფორმაციაშემდეგმისამართზე **recruitment@georgianeo.ge**. განაცხადისსწრაფადგანხილვისმიზნით, მიუთითეთრეგიონულიგანვითარებისმრჩეველიელფოსტისგზავნილისსათაურში (subject line).განაცხადებისწარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 5 აგვისტოს 18:00 საათი.შერჩეულკანდიდატებსდავუკავშირდებით.

## USAID/ ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების ინიციატივა საქართველოში

**Chemonics International Inc.** აცხადებსკონკურსსთემისმობილიზაციისსპეციალისტებისშესარჩევადUSAID-ის მიერდაფინანსებულიოთხწლიანი პროექტისათვის "ახალიეკონომიკურიშესაძლებლობებისინიციატივა" (NEO). პროექტისმიზანიასოფლისმოსახლეობისშემოსავლებისზრდა, სიღარიბისდონისშემცირება, საკვებითუზრუნველყოფა, მოსახლეობისა და სასოფლო-სამეურნეოსფეროსუზრუნველყოფაწყლითონის, ცაგერის,ლენტეხის, დუშეთის,ყაზბეგის, გორის,ქარელის, ხაშურის, ზუგდიდისადა წალენჯიხისმუნიციპალიტეტებში.გარდაამისა, NEOსაშუალებასმისცემსძველ და ახალიძულებითგადაადგილებულპირებს, რომ მათშეძლონსაკუთარისაცხოვრებლისდამოუკიდებლადმოვლა-პატრონობა.
პროექტიასევედახმარებასგაუწევსიმთემებს, რომლებიცდაზარალდნენბუნებრივი ან სხვაკატასტროფებისშედეგად. NEOაღნიშნულიმიზნებისმიღწევასგეგმავსოთხიკომპონენტისმეშვეობით: ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვათემისდონეზე, სოფლისეკონომიკურიგანვითარება, უკიდურესადდაუცველიოჯახებისდახმარება და იძულებითგადაადგილებულპირთაიმსაცხოვრებელისახლებისმდგრადობისუზრუნველყოფა, რომელთარეაბილიტაციაცხორციელდებაამერიკისშეერთებულიშტატებისმთავრობისმხარდაჭერით.

ვაცხადებთკონკურსსთემისმობილიზაციისსპეციალისტისკვალიფიცირებულიკანდიდატებისშერჩევისმიზნით, რომლებიცდახმარებასგაუწევენპროექტისგანხორციელებასრეგიონებშიშემდეგისაქმიანობებისგზით:

• დამოუკიდებელი პასუხისმგებლობაNEO-ს ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვის, სოფლისეკონომიკურიგანვითარებისა და შემოსავლებისგენერირებისსაქმიანობებისკოორდინირებაზეშემდეგიმუნიციპალიტეტებისთემებში: ონი, ცაგერი,ლენტეხი, დუშეთი,ყაზბეგი, გორი,ქარელი, ხაშური, ზუგდიდიდა წალენჯიხა. ურთიერთობისდამყარება და შენარჩუნებათემებისლიდერებთან, რათაგანხორციელდესNEO-ს საქმიანობებისკოორდინირებასაზოგადოებასთანურთიერთობის, რეგულარულიშეხვედრების და სხვასაშუალებებისგამოყენებისმეშვეობით.
• ეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვისმიზნითთემებისსამუშაოჯგუფებისშექმნის ან ხელახლაფორმირებისხელშეწყობაშერჩეულქართულორგანიზაციასთან (ორგანიზაციებთან) თანამშრომლობით.
• აქტიურიმონაწილეობათემისეკონომიკურიგანვითარებისდაგეგმვისპროცესში, დახმარებისგაწევათემებისათვისეკონომიკური პრიორიტეტებისა და საჭიროებებისიდენტიფიცირებისპროცესში.
• თითოეულშერჩეულთემში მინიმუმ ერთიმცირემასშტაბიანიინფრასტრუქტურული პროექტისიდენტიფიცირებისხელშეწყობა დაპროექტისგანხორციელებისმხარდაჭერაNEO-ს თბილისისოფისთანთანამშრომლობით.
• თემებისიმსფეროების, კომპანიების, ბიზნეს ან სხვასექტორებისიდენტიფიცირება, სადაცწარმატებითშეიძლებაგანხორციელდესსასოფლოეკონომიკურიგანვითარებისსაქმიანობა. საქმიანობებისშემუშავებისა და განხორციელებისმხარდაჭერა.
• გრანტებთანდაკავშირებულისაქმიანობებისმხარდაჭერა დამონიტორინგიშერჩეულთემებში.
• სათანადომონიტორინგისა და შეფასებისმონაცემთაშეგროვებაშერჩეულითემებისათვის, NEO-ს თბილისისოფისისმითითებებისშესაბამისად.
• სხვასათანადოსაქმიანობისკოორდინირებაშერჩეულთემებში,რეგიონალურიგანვითარებისმრჩევლის ან რეგიონალური პროგრამებისმენეჯერისმითითებებისშესაბამისად.
• კომუნიკაციისწარმართვათემებთან და საქმიანობისგანხორციელებისპროცესშიმიღწეულპროგრესთანდაკავშირებულსაკითხებზეNEO-ს რეგიონულ და სათაოოფისებისთანამშრომლებთან. ასევე, ინფორმაციისმიწოდებათემებისათვისNEO-ს სტრატეგიებისა და პოლიტიკისშესახებ.
• სხვასათანადოსაქმიანობა, პროექტისხელმძღვანელის, რეგიონალური პროგრამებისმენეჯერის და რეგიონალურიგანვითარებისშესაბამისიმრჩევლისდავალებით.

დაინტერესებულკანდიდატებსუნდაგააჩნდეთშემდეგიკვალიფიკაციები:

• ბაკალავრისდიპლომი.
• ბიზნესგანვითარებისგარემოშიმუშაობის მინიმუმ ორწლიანიგამოცდილება.
• საქართველოშისოფლისმოსახლეობასთანმუშაობისგამოცდილებაეკონომიკურიგანვითარებისხელშეწყობის, შემოსავლებისა და საცხოვრებელი პირობებისგაუმჯობესებისათვისშესაძლებლობებისიდენტიფიცირებისმიზნით.
• უნდაიყოსუაღრესადმოტივირებული პიროვნება, რომელსაცგააჩნიადაძაბულპირობებშიეფექტურადმუშაობის, პასუხისმგებლობისსაკუთართავზეაღებისა და ინიციატივისგამოჩენისთვალსაჩინოუნარი.
• ქართულიენისთავისუფლადცოდნა, წერისა და პრეზენტაციისშესანიშნავიუნარი.ინგლისურიენისცოდნასასურველია, მაგრამარარისაუცილებელი.
• ზემოთჩამოთვლილი 10 მუნიციპალიტეტიდანერთ-ერთშიცხოვრებისა და მუშაობისშესაძლებლობა.
• შემდეგიკომპიუტერული პროგრამებისცოდნა: Microsoft Word (ტექსტთანმუშაობა), Microsoft Excel (ცხრილებთან მუშაობა) და Microsoft Outlook(ელფოსტა).
• გარეპარტნიორებთანკოორდინირება და ქვეკონტრაქტორებისა და გრანტებისმიმღებთამონიტორინგი.
• სასურველია, მაგრამარარისსავალდებულოUSAID-ის საგრანტოპროგრამებთანმუშაობისგამოცდილება.

**ინსტრუქციებიგანაცხადისშეტანისათვის:**
თუთქვენბრძანდებითდაინტერესებული და კვალიფიცირებულიკანდიდატი, თუშეიძლებაგააგზავნეთქვენირეზიუმე და თავფურცელი, სამი პროფესიულირეკომენდატორისსაკონტაქტოინფორმაციისჩათვლით, შემდეგმისამართზე **recruitment@georgianeo.ge** და მიუთითეთქვენიელფოსტისგზავნილისსათაურში (subject line) **თემის მობილიზაციისსპეციალისტი,** რათათქვენიგანაცხადისწრაფადგანიხილონ. განაცხადისწარდგენის ბოლო ვადაა 2011 წლის 5 აგვისტოს 18:00 საათი. ფინალისტებსდაუკავშირდებიან.

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## ტყის მდგომარეობის გაჯანსაღების მიზნით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური მცენარეების სანიტარიული ჭრებით ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | 5 | [illegible] | [illegible] |
| 2 | | | | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | [illegible] |
| 3 | | | | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | [illegible] |
| 4 | | | | [illegible] | [illegible] | | | [illegible] | [illegible] |

| | |
|---|---|
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | [illegible] |
| [illegible] | |
| [illegible] | [illegible] |

# საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

[illegible]

კალათბურთი

# სარაევოში ქართველებმაც გაისროლეს

**როგორც მოგეხსენებათ, პირველი მსოფლიო ომის დაწყების საბაბი სარაევოში მომხდარი გასროლა გახდა, როცა გავრილო**



**პრინსიპმა სასიკვდილოდ დაჭრა ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრე, კრონპრინცი ფრანც ფერდინანდი.**

და აი, საუკუნის შემდეგ ბოსნიის დედაქალაქში ქართველებმაც გაისროლეს, ოღონდ უსისხლოდ და უმსხვერპლოდ. ჩვენი ქვეყნის 20-წლამდელთა ნაკრების მიერ ევროპის ჩემპიონატის „ბ“ დივიზიონში მოპოვებულ ბრწყინვალე გამარჯვებას ვგულისხმობთ, რაც დავით უსტიაშვილის გუნდს ელიტაში დაბრუნებისა და გაისად კონტინენტის თანატოლთა ფორუმის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას აძლევს. გილოცავთ, ბიჭებო!

უკვე ინფორმირებული ბრძანდებით ახალგაზრდა „ჯვაროსანთა“ მიერ პირველ და მეორე ჯგუფურ რაუნდებში მიღწეულ შესანიშნავ შედეგებზე – 8 მოგება და 1 წაგება, ისიც უმოტივაციო ბრძოლაში რუმინელებთან, როცა ჩვენს თანამემამულეებს განაღდებული ჰქონდათ ჯგუფში I ადგილი.

ასეთი მონაგარი, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა და მხოლოდ სტატისტიკად დარჩებოდა, თუ ჩეხებთან ნახევარფინალურ შეხვედრას ვერ მოვიგებდით. სწორედ აღნიშნულმა მატჩმა დაადასტურა, რომ ქართულ კალათბურთს ნაადრევად დავაჟკაცებულ 20-წლამდელთა სახით ღირსეული ცვლა ეზრდება.

ეს განსაკუთრებით გუნდის ლიდერ, ეროვნული ნაკრების წევრ თორნიკე შენგელიაზე ითქმის, რომელმაც მთლიანად ტურნირის 9 თამაშში პარტნიორებს 279(!) ქულა შესძინა, კონკრეტულად უკვე ნახსენებ დუელში კი თავისიანებს კრიტიკულ ვითარებაში მოევლინა მხსნელად.

არადა, სტარტი ისეთი გამოდგა, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი – მეორე პერიოდის დებიუტში 12 ქულით დავწინაურდით – 34:22. ძნელი სათქმელია, რა მოხდა ამის შემდეგ. ეტყობა, ერთდროულად იჩინა თავი დაღლილობამ, ფსიქოლოგიურმა გადატვირთვამ და მეტოქის ძალამ. ასეა თუ ისე, საფინალო სასტვენამდე 3 წუთითა და 15 წამით ადრე კატასტროფის პირას აღმოვჩნდით – 64:70. ვის უნდა ეკისრა ამ დროს ლიდერობა, თუ არა ტურნირის საუკეთესო მოთამაშესა და სნაიპერს? და თორნიკემაც, უკვე მერამდენედ, გაგვაოცა ნებისყოფით, ნერვების სიმტკიცითა და ინდივიდუალური ოსტატობით. მან დარჩენილ მცირე დროში ზედიზედ 10 ქულა მოაგროვა და, გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ გუნდი „ა“ დივიზიონში გადაიყვანა – 74:72.

რაც შეეხება ფინალურ შეხვედრას ესტონელებთან, იგი გარკვეულწილად ფორმალობად იქცა, რადგან ორივეს უკვე შესრულებული ჰქონდა პროგრამა-მაქსიმუმი, მაგრამ არის სპორტში კიდევ ისეთი რამ, რასაც პრესტიჟი და თავმოყვარეობა ჰქვია. საბედნიეროდ, ახალგაზრდა „ჯვაროსნებს“ ესეც საკმარისი დოზით აღმოაჩნდათ და ბალტიისპირელებს პირველ ჯგუფურ ეტაპზე განცდილი მარცხისთვის რევანშის აღების საშუალება არ მისცეს – 79:70. შენგელიამ ამჯერად 26 ქულა „იკმარა“.

**„ა“ დივიზიონი. ფინალი.** ესპანეთი – იტალია 82:70.

**გიორგი შოთაძე**

უნივერსიადის ექო



# „იბერია“ კერძოებში პირველია

**ამას წინათ საქართველოს „უნივერსიადა 2011“-ში ქვეყნის 42-მა უმაღლესმა სასწავლებელმა იასპარეზა, მათ შორის იყო დავით გურამიშვილის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი „იბერია“, რომლის სპორტსმენებმაც (დირექტორი მურმან ტყებუჩავა) 11 სახეობაში მიიღეს მონაწილეობა. მათ ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ორი გუნდური მესამე ადგილისთვის (კრივი და მძლეოსნობა) კი თასები დაიმსახურეს.** ამ შედეგებით კერძო უნივერსიტეტებს შორის პირველი ადგილი დაიკავეს. პირად შეჯიბრებებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სოფიო მაჭავარიანი (მძლეოსნობა) და ელიზბარ ჯოლოგუა (კრივი). „ვერცხლი“ ერგოთ ლაშა ჭეფხოძეს (კრივი), გიორგი ფაჩულიძეს (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) და ბექა ხორავას (მძლეოსნობა), ხოლო გიორგი მარგიანი (ტაეკვონდო) „ბრინჯაოთი“ დაკმაყოფილდა.

საგულისხმოა, რომ იბერიელებს მთელი წლის განმავლობაში სავარჯიშოდ აქვთ კრივის, მაგიდის ჩოგბურთის, მკლავჭიდის დარბაზები, ჭადრაკისათვის განკუთვნილი მოზრდილი ოთახი, რომლებიც ამ მიზნით სხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლებმაც გამოიყენეს.

საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ უნივერსიადის გამარჯვებული და პრიზიორი იბერიელი სტუდენტები შესაბამისი ხარისხის მედლებითა და თასებით დააჯილდოვა.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე:** **ბექა ხორავა, მურმან ტყებუჩავა, სოფიო მაჭავარიანი და სოფიო გიგიბერია დაჯილდოების შემდეგ; ასპარეზობის მომენტები.**





ფეხბურთი

# თხუთმეტგზის!



**ურუგვაი სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატების რეკორდსმენი გახდა.**

ოსკარ ტაბარესის გაწვრთნილი გუნდი მეთხუთმეტედ გაჩემპიონდა საკუთარ კონტინენტზე და გაუსწრო აქამდე ტახტზე თოთხმეტჯერ ასულ არგენტინას, თანაც მისსავე სამშობლოში გამართულ „კოპა ამერიკაზე“.

გადამწყვეტი მატჩის გმირი ფორლანი, რომელმაც „დუბლი“ შეასრულა, ეროვნული ნაკრების ლეგენდარულ ბომბარდირ ვარელას დაეწია – 31-31 გოლი, ხოლო პირველი გოლის ავტორი სუარესი, მართალია, ვერ დაეწია ტურნირის ყველაზე შედეგიან პერუელ მოთამაშეს გერეროს (შესაბამისად 4 და 5 გოლი), მაგრამ სამხრეთამერიკული ფორუმის საუკეთესო მოთამაშედ მაინც დამსახურებულად მიიჩნიეს.

რაც შეეხება მეორე ფინალისტ პარაგვაის, იგი ისტორიაში შევა, როგორც იქამდე მოუგებლად ალზევებული ნაკრები – შეგახსენებთ, რომ მარტინოს შეგირდებმა მანამდე გამართული ხუთივე შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ დაასრულეს.

სხვათა შორის, გადამწყვეტი ბრძოლის შედეგი, შექმნილი რეალობის გათვალისწინებით, ადვილად პროგნოზირებადი იყო, რადგან ტრავმირებული სანტა კრუზის გარდა, პარაგვაელებს არგენტინელი თავკაციც აკლდათ, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო მატჩს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალს. დაუმატეთ ამას მისი თანაშემწეების მიერ ძირითადი შემადგენლობის შერჩევისას დაშვებული ტაქტიკური შეცდომები, როცა სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ ბარიოსი, ესტერგარიბია და ბარეტო და მიხვდებით, რამ გაუადვილა წარმატება ურუგვაელებს – 3:0.

**მატჩი III ადგილისთვის.** პერუ – ვენესუელა 4:1.

**ვიტალი ჯაფარიძე**



ინტერნეტიდან

# ჰემილტონი გერმანიაში იმარჯვებს



**ავტორბოლაში, „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგ ეტაპზე – „გერმანიის გრან-პრი“ – ფინიშთან პირველი მივიდა ლიუის ჰემილტონი „მაკლარენიდან“. მან გადაუსწრო „ფერარელ“ ფერნანდო ალონსოსაც და მარკ უებერსაც „რედ ბულიდან“.**

ლიდერების შემადგენლობა ფინიშამდე თითქმის უცვლელი იყო. სტარტზევე წინ გაიჭრა ჰემილტონი, გადაასწრორა „ჩაძინებულ“ უებერს, მას მიჰყვა ალონსო, რომელმაც რბოლის საერთო ლიდერი სებასტიან ფეტელი („რედ ბული“) დაჯაბნა.

ლიდერების შემდეგ ფინიშამდე მივიდნენ ფეტელი და ფელიპე მასა „ფერარიდან“. რბოლის ლიდერად რჩება ფეტელი, ის მეორეადგილოსან თანაგუნდელ უებერს 77 ქულით უსწრებს.

## მუნდიალის შესახვედრად

**ბრაზილიური ეროვნული ფერებითაა დამშვენებული საბანაო კოსტიუმი, რომლითაც ლამაზმანი მოდელი ალექსის ლოპესი წარსდგა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილ ფოტოსესიაზე. ჩემპიონატი კი 2014 წელს სწორედ ბრაზილიაში უნდა გაიმართოს.**

ეს საქმე ქალიშვილმა შვიდი წლისამ წამოიწყო, მას კინოშიც იღებენ და ცდილობს ტანსაცმლისთვის ხაზის შექმნას.

მან განაცხადა, რომ ბედნიერი იქნება, თუკი თავისი ქვეყნის ფერებით შექმნილი საბანაო კოსტიუმების ახალი კოლექცია წარმატებას მოუტანს ბრაზილიის ნაკრებს მომავალ მსოფლიო თასზე. თანაც ფიქრობს, რომ ამაში ბრაზილიელ ფეხბურთელებს ხელს არ შეუშლის კოპა ამერიკაზე ამასწინანდელი წარუმატებლობა.



ვერდიქტი

# ფეხბურთიდან სამუდამოდ მოკვეთეს



**ასეთი განაჩენი გამოუტანეს 2011 წლის ივნისამდე ფეხბურთში აზიის კონფედერაციის თავკაცს, ყატარელ მოჰამედ ბინ ჰამამს.**

მისი ფეხბურთიდან მოკვეთის გადაწყვეტილება მიიღო ფიფას ეთიკის კომიტეტმა, ორდღიანი მოსმენის შედეგად რომ დაადგინა, – ყატარელი ერთობლივად არღვევდა ორგანიზაციის ეთიკური კოდექსის 7 პუნქტს, კერძოდ, ფიფამ აღიარა იგი დამნაშავედ ამ ორგანიზაციის პრეზიდენტის არჩევნების დროს თავისი კანდიდატურის სასარგებლოდ ხმების მოსყიდვაში.

მიიჩნიეს, რომ ბინ ჰამამი და ფიფას მეორე მაღალჩინოსანი ჯეკ უორნერი კარიბის ფეხბურთის კავშირის წევრებს 40 ათას დოლარს უხდიდნენ ყატარელისთვის მიცემულ ხმებში. ბინ ჰამამი ერთადერთი კონკურენტი იყო ზეპ ბლატერისა.

შეგახსენებთ, რომ ბინ ჰამამიც და ჯეკ უორნერიც თანამდებობებიდან დროებით გადააყენეს ეთიკის კომიტეტის სხდომაზე ჯერ კიდევ 29 მაისს.

როგორც ცნობილი გახდა, ფეხბურთის ორივე მაღალჩინოსანი აპირებს დისკვალიფიკაციის გასაჩივრებას.

გამოიცა

# თუ ჩვენს პატარას რაიმე ტკივა...

## სამაგიდო წიგნი პრაქტიკოსი პედიატრებისთვის

**დღევანდელ მსოფლიოში თანამედროვე პედიატრიის დიდმა მიღწევებმა დღის წესრიგში დააყენა უახლესი სახელმძღვანელოს შექმნის საკითხი ქართულ ენაზე, რომელიც შესაბამის უმაღლეს სასწავლებელში სასწავლო პროგრამებს საგრძნობლად გაამდიდრებს. სწორედ ასეთ სახელმძღვანელოა ახლახან გამოქვეყნებული წიგნი „პედიატრია“ (I ტომი), რომლის ავტორები არიან მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნინო მანჯავიძე და მედიცინის დოქტორი გიული მეგრელიშვილი თანაავტორებთან ერთად.** წიგნში ვრცლად არის გაშუქებული თანამედროვე პედიატრიის მრავალმხრივი ასპექტები და განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის. ამავე დროს მას შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს ოჯახის ექიმებს, რომელთა სტატუსიც დღეს მკვიდრად იკიდებს ფეხს საქართველოში. ამ სახელმძღვანელოს ავტორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი იმდენად შინაარსიანად არის შედგენილი, რომ არა მარტო მკურნალ ექიმებს შეუძლიათ ადვილად აითვისონ მასში მოცემული საინტერესო, ახალი მონაცემები, არამედ ახალგაზრდა პედიატრებს გამოუმუშავონ დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სწორად წარმართვის ჩვევები, მშობლებს კი დაეხმარება, გარკვეული ცოდნა მიიღონ ბავშვების აღზრდისა და მოვლის საკითხებში.




პირველად ქართულ პედიატრიულ სახელმძღვანელოში განხილულია პედიატრიული პრაქტიკის სამართლებრივი და ეთიკური საკითხები (ბავშვის უფლებათა კონვენცია, სამედიცინო ეთიკა და დეონტოლოგია), რასაც დღევანდელი გლობალიზაციის პროცესებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ექიმისა და პაციენტის ურთიერთდამოკიდებულების ასპექტში.

მკითხველს სახელმძღვანელოში, უწინარეს ყოვლისა, დააინტერესებს ის, რომ მასში მოცემულია ყველა ახალი და პრაქტიკული საკითხი, რომლებიც წლების განმავლობაში პედიატრიულ სახელმძღვანელოებში არ იყო განხილული, ხოლო, მეორე მხრივ, პედიატრიული სწავლების ქვაკუთხედად ბავშვის დაავადებების განსაზღვრისას ავტორებს მიჩნეული აქვთ ჯანმრთელი ბავშვის ანატომიურ-ფიზიოლოგიური თავისებურებები და მხოლოდ, აქედან გამომდინარე, განიხილება პათოლოგიური პროცესების ჩამოყალიბების არსი.

ავტორებს წარმოდგენილი აქვთ მრავალმხრივი ახალი ინფორმაცია პედიატრიის ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორიც არის: ბავშვის ასაკის პერიოდები, ჯანმრთელი ბავშვის სტატუსი, ავადმყოფი ბავშვი, ბავშვის ფიზიკური განვითარება, ბავშვის კვება და სხვა. ყველა თავი განხილულია მტკიცებითი, ანუ ფაქტებზე დამყარებული მედიცინის ასპექტში, რადგან ეს უკანასკნელი თანამედროვე ეტაპზე ეყრდნობა სამედიცინო ინფორმაციის ძიებას, ანალიზს, განზოგადოებასა და გამოყენების ტექნოლოგიას, რაც გვაძლევს ოპტიმალური კლინიკური გადაწყვეტილების მიღების საშუალებას.

ნაშრომში დიდი ადგილი უკავია ნეონატალური მედიცინის ასპექტებს (188 გვ.ძ. მეტად სკურპულოზურად განიხილება ამ პერიოდის სხვადასხვა დაავადების ეტიო-პათოგენეზური მექანიზმები, პრევენციისა და მკურნალობის პრინციპები. რაც შეეხება ნეონატოლოგიის წინა პერიოდს — პერინატალური მედიცინის საკითხებს, მართალია, ეს არის პირველი მცდელობა პედიატრიულ სახელმძღვანელოში პერინატალური მედიცინის საკითხების განხილვისა, სასურველი იქნებოდა, რომ ამ პერიოდის ნაყოფის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებზე მეტი ყურადღება ყოფილიყო გამახვილებული, რადგან დღევანდელ საქართველოში პერინატოლოგიური სამსახური მეტად დაბალ დონეზეა წარმოდგენილი, ამიტომ პერსპექტივაში ამ დარგის მეტი ინფორმატულობა არა მარტო მეანებს, არამედ ნეონატოლოგიური მედიცინის განვითარებასაც დიდად შეუწყობს ხელს.

წიგნის განსაკუთრებულ ღირებულებად შეიძლება ჩაითვალოს მასში მოყვანილი ფოტომასალა, შესანიშნავი გრაფიკები, ფერადი ცხრილები, რომლებიც ამდიდრებენ და უფრო დამაჯერებელს ხდიან წიგნში მოყვანილ მონაცემებს.

სახელმძღვანელო დაწერილია კარგი ქართულით, ადვილად იკითხება, ამიტომ იგი არა მარტო სახელმძღვანელოს როლს შეასრულებს სტუდენტებისთვის, არამედ სამაგიდო წიგნად შეიძლება ჩაითვალოს პრაქტიკოსი პედიატრებისთვის.

**ირაკლი ციციშვილი,**
საქართველოს პედიატრიული აკადემიის პრეზიდენტი,
პროფესორი;

**ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე,**
საქართველოს პედიატრიული ასოციაციის პრეზიდენტი,
პროფესორი.

---

ხელოვნება

# გიორგი გიგაური



გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი ხვთისოს ძე გიგაური.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი, მხცოვანი შემოქმედი, რომლის უპირველეს საფიცარსა და სალოცავს ბოლო ამოსუნთქვამდე მშობელი ქვეყანა, მშობელი ხალხი წარმოადგენდა. ამ მართლაცდა ღვთისნიერი შემოქმედის პოეზია საქართველოს გმირული წარსულითაა ნასაზრდოები და ღვთისშობლის წილხვედრი ქვეყნის უკვდავების საგალობელია.

გიორგი გიგაური 1928 წლის 23 მაისს დაიბადა დუშეთის რაიონის სოფელ ბლოში. 1945 წელს დაამთავრა ბარისახოს სკოლა-ინტერნატი, ხოლო 1953 წელს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ გიორგი გიგაური სხვადასხვა დროს მუშაობდა თიანეთის რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილების გამგედ, გაზეთ „ახალი თიანეთის“ მთავარი რედაქტორის მოადგილედ, საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თიანეთის ზონის კორესპონდენტად და უფროს რედაქტორად, ჟურნალ „საქართველოს სოფლის მეურნეობის“ განყოფილების გამგედ, ჟურნალ „რელიგიის“ განყოფილების გამგედ. სადაც კი იმუშავა, გიორგი გიგაურმა ყველგან სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა, ყველგან ქედუხრელი და პირუთვნელი ვაჟკაცის სახელი დატოვა.

ექვს ათეულ წელზე მეტი გრძელდებოდა გიორგი გიგაურის მეტად ნაყოფიერი და საინტერესო შემოქმედებითი მოღვაწეობა. 1950 წელს გამოაქვეყნა პირველი ლექსი „მელიქიშვილის ქუჩა“ და მას შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში და თანამოკალმეთ სიქველის, სიკეთის, პატიოსნების იდეალების მსახურების უებრო მაგალითს აძლევდა.

ქართველმა მკითხველმა მართლაც რომ შეიყვარა გიორგი გიგაურის პოეტური კრებულები „მთიების სიმღერა“, „ბალადა შვიდი ხევსურისა“, „აღსარება“, „მზის ნაბიჯები“, „იმედის ბილიკი“, „ხევსურეთ რა ამბავია“, „სულის საგზალი“, „კენჭები კამკამა მორევში“, „ლოცვა“, „ლექსი და კაი ყმა“, „შორეული ექო“, „ზარების გაღვიძება“, „დაისის შუქი“... რა გასაკვირია! ამ კრებულებში შესულ ლექსებს, პოემებსა და ბალადებს სადა, დახვეწილი და ლაკონიური პოეტური ენა, თემატიკური მრავალფეროვნება, მართალი და უტყუარი განცდები, პოეტური ჭვრეტის ინდივიდუალობა, მათში ნაჭედი სიტყვის ჯავარი გამოარჩევს. ამ ლექსების პოეტური გმირი საოცრად ჰგავს თვითონ ამ ლექსთა შემქმნელს, ასჯერ ნახმლევი და ნატყვიარი ბებერი ციხის ერთ ლოდს, ტკივილისაგან რომ გალურჯებია სული, რადგანაც ხედავს, თუ რა მუხანათური სისწრაფით ვიწროვდება მარყუჟი მისი სათაყვანებელი სამშობლოს თავზე, როგორ ცდილობს ეშმა თუ მაცილი ჩვენი ყოფის ჯოჯოხეთად ქცევას. დედოზარივით რეკავს მისი ლოცვა, მუქარა, მისი მუდარა; ქართული სულის, ქართული ვაჟკაცობისა და ქედუხრელობის მკვდრეთით აღდგენას შესთხოვს არსთაგამრიგეს, კარგად მოეხსენება, რომ წინამძღვართან ნასროლი ტყვია ჯერაც არაგვის ველებს გასწვივის და კაცმა არ იცის, ვინ იქნება შემდეგი...

გიორგი გიგაურმა საკუთარი პოეტური მადლი უხვად უწილადა პატარებსაც, რომლებიც მუდამ ხალისით ეცნობიან მის ისეთ საყმაწვილო კრებულებს, როგორიცაა „სიცოცხლე გრძელდება“, „გაზაფხული არაგვზე“, „მზიანი მიწა“, „ლამაზი დღე“, „ძმები“... ეს კრებულები მათ სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას ასწავლის.

გიორგი გიგაურის კალამს ეკუთვნოდა არაერთი მნიშვნელოვანი მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური წერილი, ჩვენი ყოფის საჭირბოროტო საკითხებს რომ ეძღვნებოდა.

პოეტის შემოქმედების ცალკეული ნიმუშები ითარგმნა ესპანურ, უკრაინულ, აზერბაიჯანულ ენებზე.

გიორგი გიგაურის მრავალფეროვანი და მწერლური ნიჭიერებით გაცისკროვნებული მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მას მინიჭებული ჰქონდა ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, შალვა დადიანის სახელობის პრემიები; არჩეული იყო ჩარგლის საპატიო მოქალაქედ; დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით...

გიორგი გიგაური წუთისოფლის ულრანებში მობუბუნე უფლის ხარს ჰგავდა, ეშმაკის ბლანდებს რქებითა და ქედით რომ მიარღვევს და რწმენასა და იმედს გვიბრუნებს.

სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ მის მეგობარ ქართველ მწერლებს გიორგი გიგაური — პოეტი, მოქალაქე, ერისკაცი...

საქართველოს მწერალთა კავშირი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულისტკივილით იუწყება, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი პოეტი, ჩვენი გაზეთის ძველი ავტორი და მეგობარი, კეთილშობილი პიროვნება

**გიორგი გიგაური**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს.

---

# ნოდარ კეკელიძე



თანამედროვე ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთი ღირსეული მწერალი დაკარგა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პროზაიკოსი ნოდარ გიორგის ძე კეკელიძე.

ნოდარ კეკელიძე დაიბადა 1936 წლის 3 იანვარს თბილისში.

ნოდარ კეკელიძე ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას 1962 წლიდან ეწეოდა, როდესაც ჟურნალ „დილაში“ გამოქვეყნდა მისი პირველი საყმაწვილო მოთხრობა „ჯიუტი დათუნია“. მას შემდეგ ნოდარ კეკელიძის ნაწარმოებები პერიოდულად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ნოდარ კეკელიძე, უპირველეს ყოვლისა, საბავშვო მწერალი გახლდათ. ქართველმა პატარებმა შეიყვარეს და სამაგიდო წიგნებად გაიხადეს ნოდარ კეკელიძის ისეთი საყმაწვილო კრებულები, როგორიცაა „დიდი თოვლი“, „ძია სამსონის რობოტი“, „სახლიკაცები“, „ფუზუილას თავგადასავალი“, „შუაკაცი“, ცუცქია ზღარბის ამბავი“... ნოდარ კეკელიძემ კარგად იცოდა მოზარდთა ფსიქოლოგია, მათი სულიერი სამყარო და ესეც ზრდიდა მისი ნაწარმოებების შემეცნებით მნიშვნელობას.

და მაინც, როგორც გაირკვა, მწერალი მთელი ცხოვრების მანძილზე ემზადებოდა თავისი უმთავრესი ნაწარმოების შესაქმნელად. ამ ორიოდე წლის წინათ ცალკე წიგნად გამოიცა ნოდარ კეკელიძის რომანი „დიდი ალმართი“, რომელშიც მთელი სისავსით გაცხადდა მისი მწერლური ნიჭიერება. ეს რომანი ჩვენს თანამედროვეობას ეხება და ქვეყნის დიდი ჭირისუფლის პოზიციიდანაა ასახული ის უბედურებანი, რაც ქვეყანას იავარქმნით ემუქრება. ნოდარ კეკელიძე დამაჯერებლად გვიხატავს გაქსუებული მედროვე არაკაცების უბადრუკ სულიერ სამყაროს, გვიხატავს, თუ როგორ რყვნის ძალაუფლება, ფული ადამიანს, რომელსაც თავისი ბინძური ინსტიქტების შესასრულებლად შეუძლია ყველაფერზე წასვლა...

მწერლის ნაწარმოებები ითარგმნა გერმანულ, მოლდავურ, რუსულ, უნგრულ ენებზე.

ნოდარ კეკელიძე მუდამ ღიად გამოხატავდა თავის პროტესტს საქართველოს დამაქცევართა მიმართ. რა დაგვავიწყებს, თუ რა მძაფრად გაილაშქრა საქართველოს მწერალთა კავშირის დაშლის მსურველთა წინაალმდეგ...

ასეთ ბობოქარ, დაუოკებელ, პროტესტანტული სულის მქონე შემოქმედად დაგვამახსოვრდება მშობელ მიწა-წყალზე უზომოდ შეყვარებული ეს მართალი შემოქმედი.

საქართველოს მწერალთა კავშირი

---

## განცხადება

2011 წლის 12 აგვისტოს 14 საათზე მოწვეულია შპს „როკი-98“-ის (ს/კ 206096419ძ პარტნიორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

შპს „როკი-98“-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საჭიროებისათვის საკუთრებაში გადაცემის მისაღები პირობების განხილვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კრება ჩატარდება მისამართზე: ქ. თბილისი, ზოვრეთის ქ.№1.

შპს „როკის-98“-ის ადმინისტრაცია

---

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგის გურამ კუტალაძის

ძმის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კათედრის გამგის გურამ კუტალაძის

ძმის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის თანამშრომელი, გამორჩეული პიროვნება და მეცნიერი

ზურაბ ციგროშვილი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## ორნი

# მხრჩოლავი დამცილებელი

**ინტიმური სიახლოვე უწინდელ სიამოვნებას აღარ გგვრით? ყველაფერს ასაკს აბრალებთ და ისევ თამბაქოს გაბოლებას აპირებთ? აქ, უმჯობესია შეჩერდეთ: შესაძლოა საყვარელ ადამიანს სწორედ ეგ სიგარეტი გაშორებთ.**

თავდაპირველად ნიკოტინი სისხლძარღვებს, მათ შორის თავის ტვინისასაც აფართოვებს. სწორედ ამის გამოა, რომ თამბაქოს მწეველი სიმხნევეს გრძნობს და სექსუალური ექსპერიმენტებისთვისაც მზადაა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ნებისმიერი ქმედება უკუქმედების ტოლია: სისხლძარღვთა დროებით გაფართოებას მათი საგრძნობი შევიწროება მოყვება. 5-10 წლის თამბაქოს წევის შემდეგ სისხლძარღვები „სიწვრილეს“ ეჩვევიან, რაც სექსუალურ ცხოვრებას კარგს არაფერს უქადის.

თამბაქოს ბოლთან ერთად მოხვედრილი ფისები და სხვა ნივთიერებები სისხლში „ცუდი“ ქოლესტერინის დონეს ზრდიან. ეს კი მნიშვნელოვნად სწევს ათეროსკლეროზის, ანუ სისხლძარღვთა კედლებზე „ბელტების“ წარმოქმნის საფრთხეს. თამბაქოს მწეველის სისხლი უფრო ბლანტია, ჟანგბადით ცუდად გაჯერებული, სისხლძარღვთა და კაპილართა სისტემით იგი უფრო ნელა მოძრაობს, რის შედეგად საგრძნობლად ქვეითდება სასქესო ორგანოებისთვის მისი მიწოდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისხლი ძლივს ავსებს იმ ორგანოს, რომელიც „მაგარი და მედგარი“ უნდა იყოს.





სამწუხაროა, მაგრამ სიგარეტი ერექციის უდიდესი მტერია. 30-50 წლის იმპოტენციით დასნეულებულ მამაკაცთა 12 პროცენტს ავადმყოფობა თამბაქომ შეყარა. ამასთან, კიდევ უფრო საშიში ის გარემოებაა, რომ ერექტილური ფუნქციის დარღვევის გამომწვევ მიზეზს მომავალში ინსულტის ან ინფარქტის გამოწვევა შეუძლია: სისხლის ნაკადის შესუსტება მხოლოდ სასქესო ორგანოებზე არ აისახება. მეტიც: თამბაქოს ასევე პროსტატის ადენომისა და სასქესო ორგანოთა კანცერომატოზის გამოწვევაც შეუძლია. მწეველ ქალებს საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი ცვლილებების, მასტოპათიის, სარძევე ჯირკვლების ფიბროადენომის შეყრის მეტი შანსი აქვთ...

სექსუალური ლტოლვა და ვნება დიდწილად ჰორმონებისა და ნერვების, სამედიცინო ტერმინოლოგიით ნეიროენდოკრინული სისტემის პროდუქტია. მისი შესწავლის პროცესში ავსტრალიელმა ექიმებმა დაადგინეს, რომ სხვებთან შედარებით თამბაქოს მწევლებს ჰორმონ პროლაქტინის უფრო დაბალი დონე აქვთ, რომელიც მამაკაცებში ჰორმონ ტესტორონის, ქალებში კი ჰროლმონ ესტროგენის გამომუშავებაზეა პასუხისმგებელი. როცა ისინი სისხლში მცირე ოდენობით არიან, სექსის ხასიათზე არც ქალია, არც მამაკაცი. გარდა ამისა, თამბაქოს ბოლი ტოქსინების მუდმივი წყაროა, რომლებზეც ორგანიზმი მადეტოქსირებელი ფერმენტების გაძლიერებული გამომუშავებით პასუხობს. ისინი ტოქსინებს კი შლიან, მაგრამ, ამავე დროს, ასევე კარგად... სქესობრივ ჰორმონებსაც სპობენ. ამის გამო კი, არათუ სექსის სურვილი ქრება, კლიმაქსიც უფრო ადრე მოდის!

კანადელმა ექიმებმა ერთკვერცხა ტყუპი დის ცხოვრების წესის ყველაზე ინტიმური სფეროები გამოიკვლიეს, რომელთაგან ერთი ეწეოდა თამბაქოს, მეორე – არა. აღმოჩნდა, რომ მეორე გაცილებით უფრო აქტიური სქესობრივი ცხოვრებით ცხოვრობს, მას გაცილებით ძლიერი და ნაირფერი ორგაზმები აქვს.

არამწეველ ქალებს ექიმები წვერულვაშიანი მწეველი თაყვანისმცემლებისგან თავის შორს დაჭერას ურჩევენ. საქმე ისაა, რომ სახის ბალანი კანცეროგენულ ფისებს იწოვს, ამდენად კოცნისა და სხვა სახეობის ალერსის დროს არამწეველი ქალები არასასურველ ნივთიერებებს დამატებითი დოზებით იღებენ.

თავგადაკლული მწევლები ბევრს ახველებენ და ხშირად ნახველსაც იღებენ, რის მოსმენა და ცქერა, მით უმეტეს ღამე, მეტად უსიამოა. იტალიელ ფსიქოლოგთა დაკვირვებით, ეს ხშირად იმის მიზეზი ხდება, რომ თამბაქოს მწეველთა მეუღლეები დროთა განმავლობაში ცალკე საძინებლებში გადაბარგდებიან და თავს იკავებენ ინტიმური ურთიერთობებისგან, რომლებიც ნებისმიერ დროს ხველებით შეიძლება შეწყდეს.

სამწუხაროდ, მაშინაც კი, როცა ცოლიც და ქმარიც თამბაქოს ერთნაირად აფუილებს, ოჯახში ურთიერთგაგებას ეს მაინც დიდად არ უწყობს ხელს. იმავე იტალიელ ფსიქოლოგთა მონაცემებით, სექსუალურ დისჰარმონიას 43 პროცენტით მეტად ვხვდებით იმ ოჯახებში, სადაც თამბაქოს ერთ-ერთი მეუღლე ეწევა და 57 პროცენტით მეტად იქ, სადაც ორივე მწეველია. საქმე, ალბათ, ისაა, რომ თამბაქოს მწევლები სხვებზე ადვილად ღიზიანდებიან, ამიტომ კონფლიქტებიც უფრო ხშირად მოსდით.

მეტიც: მეცნიერები დედებს მოუწოდებენ, ქალიშვილები მწევლებს არ გააყოლონ! არამწეველებთან შედარებით მათ ურო დაბალი ხარისხის სპერმა აქვთ – მას ნაკლები სიმკვრივე და არასრულფასოვან სპერმატოზოიდთა გაზრდილი ოდენობა აქვთ. ეს ფრანგმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომლებმაც ამის მიზეზიც დაასახელეს – ის ისევ ზემოთ ნახსენები ცუდი სისხლმომარაგება და სისხლძარღვთა შევიწროებაა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს ისიც აღვნიშნოთ, რომ ჯანმრთელი ბავშვების ყოლით მაინცდამაინც ვერც თამბაქოს მწეველი ქალიშვილები და რძლები დაიკვეხნიან, რადგან მათ სრულფასოვანი კვერცხუჯრედები ნაკლებად წარმოეშვებათ. ამასთან, ქალს, რომელმაც თუნდაც დაფეხმძიმებისთანავე თავი დაანება თამბაქოს წევას, შვიდ ან რვათვიანი ბავშვის გაჩენის, ჩვილის სიკვდილისა და თანდაყოლილი დეფექტის მქონე ბავშვის გაჩენის გაცილებით მეტი შანსი აქვს, ვიდრე არამწეველ ქალს. ამდენად, თამბაქოს წევის თავის დანებებას მომავალ დედებს ექიმები სავარაუდო ფეხმძიმობამდე ერთი-ორი წლით ადრე ურჩევენ, რა დროსაც ბევრი უნდა იმოძრაონ, ცხოვრების ჯანსაღ წესს ეწეოდნენ, რის შედეგად სისხლმომარაგებაც აღუდგებათ და ჰორმონებიც მოწესრიგდებიან.

და კიდევ ერთი, ორმოც წელს გადაცილებულ ქალს კვლავაც უნდა ჰქონდეს მამაკაცთა ყურადღების მიქცევის იმედი. ამ ასაკის შემდეგ კი თამბაქოს მოწევა გარეგნობაზე განსაკუთრებით აისახება: მწეველი ქალები, კანის ფერითა და სინაზით არამწეველებს ვერაფრით შეედრებიან. გარდა ამისა, თამბაქოზე უარის თქმა ქალს კბილების სითეთრისა და თავისი სქესის შესაფერისი ხმის შენარჩუნებაში შეუწყობს ხელს, რაც მეტად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ იგი მშვენიერი ქალბატონი იყოს არა მარტო მეუღლისა და შვილებისთვის, არამედ დანარჩენ გარშემო მყოფთათვისაც.

ЗДОРОВЬЕ

## ანეკდოტები

**– თუ იცოდით, რომ მესამესართულელი პროფესორი თურმე პედერასტი ყოფილა? – ეუბნება ტიპი თანაკორპუსელს.**

**– ვა, ორი წელია, მასთან სექსი მაქვს, მაგრამ პროფესორი თუ იყო, ნამდვილად არ ვიცოდი.**

* * *

**ერთმა ქალთა კოლეჯის დეკანმა ახალჩარიცხულ სტუდენტებთან შეხვედრის მიწურულს მიიჩნია, რომ საჭირო იყო, მათთან შეხვედრისას სექსისა და მორალის საკითხებს შეხებოდა.**

**– ცდუნების მომენტში საკუთარ თავს მხოლოდ ერთი ასეთი კითხვა დაუსვით: „ღირს კი სიამოვნების ერთი საათი მთელი ცხოვრების სირცხვილად?“**

**ლექციის ბოლოს შეკრებილთ ჰკითხა, კითხვები ხომ არ გაქვთო.**



**ერთმა გოგომ მორცხვად ასწია ხელი და ჰკითხა: „იქნებ გვითხრათ, როგორ ახერხებთ ამის მთელი ერთი საათით გაჭიმვას?“**

* * *

**– თუ შეიძლება, ჩემი პრინტერი შეამოწმეთ.**

**– რა სჭირს?**

**– როდესაც საიტზე ვკითხულობ ანეკდოტებს, სულ მეცინება, ამობეჭდილის წაკითხვისას კი – არა.**

* * *

**ნეფეს ეკითხებიან:**

**– რა არ მოგეწონათ მზითევში?**

**– პატარძალი.**

* * *

**სიახლე ჩვენს ცხოვრებაში: საქართველოში დაწესდა ახალი მედალი, რომლითაც ყველაზე წესიერი მოხელეები დაჯილდოვდებიან. მედალს ერქმევა: „სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით მცირე ოდენობით დატაცებისთვის“.**

## მცირე პროზის საღამო

# სევდიანიდან მხიარულამდე



**ამ განწყობით ჩატარდა მწერლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, ილიას კვლევის ცენტრის თანამშრომლის თამარ მიქაძის მცირე პროზის საღამო ვაშლოვანის 6 ნომერში, შენობაში, რომლის პირველ სართულზე ილია ჭავჭავაძის კვლევის ცენტრია განთავსებული, ხოლო მეორე სართულზე – ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი.**

შენობის მეორე სართულზე, დიდ და ნათელ დარბაზში თბილ გარემოში ქალბატონმა თამარმა წაიკითხა თავისი მინიატიურები, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

საღამოს უძღვებოდა, როგორც ქალბატონმა თამარმა აღნიშნა, მისი თაობის სიამაყე, მწერალი და კრიტიკოსი **როსტომ ჩხეიძე**.

შესავალ სიტყვაში ბატონმა როსტომმა ისაუბრა მინიატიურაზე, როგორც საინტერესო და, ამავე დროს, რთულ ჟანრზე. დაასახელა თამარ მიქაძის სამეცნიერო ნაშრომებიც, კერძოდ, მივიწყებული პოეტისა და მთარგმნელის იოსებ ბაქრაძის მონოგრაფიული წიგნი და ფოტოალბომი „დიმიტრი ყიფიანი.“

აღინიშნა მისი მონაწილეობა ილიას პერსონალური ენციკლოპედიის შექმნაში.

სიტყვით გამოვიდნენ: **ცისანა გენძეხაძე, ინგა მილორავა, გივი შაჰნაზარი, გაგა ლომიძე, მანანა ყიფიანი და მაია ციციშვილი** – ამჟამად ამერიკაში მცხოვრები მეგობარი, რომლის ჩამოსვლასაც ავტორმა ის საღამო უძღვნა.



საღამოს დასასრულს დარბაზი დალოცა მამა მალხაზმა, რომელიც წმინდა დიმიტრის სახელობის ტაძრის მშენებლობას თაოსნობს პატრიარქის კურთხევით.

ქალბატონმა თამარმა მადლობა მოახსენა სტუმრებს მობრძანებისთვის და განსაკუთებული მადლობა მოახსენეს იმ პიროვნებებს, რომელთა მეშვეობითაც შედგა საღამო – **ქალბატონ ნინო მამარდაშვილს და ბატონ ზაზა სიორიძეს.**

– ცხოვრება არ არის განვლილი დღეების ჯამი, ცხოვრება არის დღეები, რომლებიც გამახსოვრდება ცუდად თუ კარგად. ეს დღე ჩემთვის ჯამის ნაწილი არაა, ვიმედოვნებ თქვენთვისაც, – აღნიშნა მწერალმა.

**ნატა ნიბლაძე**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24